# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცყუილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 1 დეკემბერი, 2011 წელი.

№226 (6857)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## მაესტრო მერაბიშვილი „მაესტროს" წინააღმდეგ,




ანუ სულელი მამუკა ღლონტი და ბანდიტი ეროსი კიწმარიშვილი!



②

## ბიძინა ივანიშვილი: პოლიტიკაშიც სუფთად დავრჩები!

⑤

## რიგითი რაიანი და „დაჩაგრული" ხუხუა

## ნაციონალური საკითხი უმთავრესია

④

## არაბული გაზაფხულის შემყურე საქართველო

⑨

## ერევა და თანაც — როგორ!

⑥



ლიბერტარიანული სახელმწიფო და „ეკონომიკაში ჩაურევლობის" მითი

## შეაჩერეთ ლებიდები!

⑧



## ისევ ვერ აირჩიეს

SIC!

# მაესტრო მერაბიშვილი „მაესტროს“ წინააღმდეგ,



ანუ სულელი მამუკა ღლონტი და ბანდიტი ეროსი კიწმარიშვილი!



**გახსოვთ, ალბათ, ამას წინათ ეროსი კიწმარიშვილის ბოლო გამოსვლა „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში, სადაც მან პირდაპირ განაცხადა — რა ამბავია ამდენი ივანიშვილი? გეყოფათ, ეიფორიამ გაიარა უკვე, სხვა რაღაცებიც ხდება ქვეყანაში, ამიტომ დროა ივანიშვილის „პლასტინკა გადააბრუნოთ“, ანუ დააბალანსოთ საინფორმაციო ბლოკი თუ თოქშოუებიო!**

**— მაინც რა ხდება ივანიშვილზე მნიშვნელოვანიო? — შეაგება კითხვა შალვა რამიშვილმა. რა და — მაგალითად, რუსეთის „ვტეოში“ გაწევრებაო ერასტიმ და ა.შ. სხვა მრავალი დემაგოგიური ლათაია...**

ციტირებაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ კითხვა-პასუხების პათოსი ნაღდად ეს იყო!

არადა, ეს ის ერასტი-ეროსია, რომლის „დაბალანსირებულმა“ „რუსთავი-2“-მა, პირდაპირ ეთერში მოახდინა „ვარდების რევოლუცია“, რომელმაც დაანგრია ყველაფერი ქართული და ეროვნული. ეგეც არ იყოს, რომელ ბალანსზეა ლაპარაკი, როდესაც თავისუფალი სიტყვის ორ „ბუტკას“ — „კავკასია“-„მაესტროს“ — ე.წ ნაციონალური ტელევიზიების მთელი არმია უპირისპირდება?

ეს ის ერასტი-ეროსია, რომელიც ჯერ კიდევ ქართულ პოლიტიკაში მოსვლამდე ბიძინა ივანიშვილმა ისე „მიაშხვამფალა“ ქრისტიან-დემოკრატებთან, ახლებთან, „ედპ“-თან და ა.შ. პარტიებთან ერთად, რომ, არათუ პოლიტიკაში დარჩენის არანაირი შანსი აღარა აქვთ, არამედ, საერთოდ, როცა ეს კოშმარი დამთავრდება, რასაც მიშნაცების დიქტატურა ჰქვია, იქნება ქუჩაშიც ვეღარ გამოვიდნენ.

თანაც გავიხსენოთ კონტექსტი, რა „დროსაც“ მაესტროში შევარდა შინაგან საქმათა სამინისტრო. დიახ „შსს“, რადგან კიწმარიშვილი მხოლოდ ინსტრუმენტია ვანო მერაბიშვილის ხელში.

კონტექსტის „მარილი“ კი ის არის, რომ ხელისუფლებამ ღია შეტევა დაიწყო ბეჭდვურ მედიაზე და „მაესტროს“ გაჩერებაც ამ სცენარის ნაწილია. თანაც ბეჭდვური მედიისგან განსხვავებით, ბევრად უფრო უსაფრთხო და კომფორტული, რადგან ფორმალურად მაინც, გარკვეული დროით კიწმარიშვილის მართვის უფლებას ამოეფარებიან ნაცები დასავლეთის პროტესტის შემთხვევაში.

**ეს კი მთლიანად, მომიტევეთ და, უტვინო მამუკა ღლონტის ბრალია — ახლა რომ ეძახის ეროსის ბანდიტს,კიწმარიშვილს რომ აძლევდა „მაესტროს“, რას ფიქრობდა მაშინ? ივანიშვილის სრულიად კორექტულ შეთავაზებაზე რომ აიფოფრა — „მაესტროს“ საყიდელი ფული ბიძინას აქვს კი არა, საერთოდ არ მოჭრილაო, რამდენად მიყიდა ამ არაკაცს?**

ბოლო წვეთი მიშნაცებისთვის ბიძინა ივანიშვილის გუშინწინდელი სტუმრობა იყო ეკა ბერიძის „პირდაპირ საუბარში“, რაც იმდენად აშკარაა, რომ რაიმე სახის მტკიცებულებებზე საუბარი არც კი ღირს! ახლა ამ წერილს ვწერ და თან პარალელურად „მაესტროში“ განვითარებულ მოვლენებს ვუყურებ და ვხვდები, რომ ჩემი წერილით ვერაფრით მივყვები ტემპს, რადგან კაცმა არ იცის, რა შეიძლება მოხდეს პოლიციით გარშემორტყმულ „მაესტროში“, სანამ ეს წერილი გამოქვეყნდება.

**ამიტომ აქ დავამთავრებ და ეროსი-ერასტის ვაფრთხილებ — ფრთხილად, დროზე ადრე არ გაგპარსონ ეგ გაბურძგნული თავ-პირი!**

**დღეს მაესტროს დათმობა სხვა ბევრი რამის დათმობას, მათ შორის, იქნებ „ქართული ოცნების“ დათმობასაც ნიშნავს!**

**დავით მხეიძე**

## შსს ტელეკომპანია „მაესტროში“ შექმნილ ვითარებაზე განცხადებას ავრცელებს

**შინაგან საქმეთა სამინისტრო ტელეკომპანია „მაესტროში“ შექმნილ ვითარებაზე განცხადებას ავრცელებს.**

**— საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში შემოვიდა შეტყობინება ტელეკომპანია „მაესტროდან“, რის შემდეგაც ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი დანაყოფი. საპატრულო პოლიციის ადგილზე ყოფნის ერთადერთი მიზანია ის, რომ მხარეებს შორის არ მოხდეს კონფლიქტი, ფიზიკური შეხლა-შემოხლა და სიტუაციის დაძაბვა, — ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.**

**მოგვიანებით, ტელეკომპანია ეთერში ღლონტის განცხადებით გავიდა. „მაესტრო“ ამჟამად პირდაპირ ეთერში მაუწყებლობს.**

## მხოლოდ სამართლებრივი გზით

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია „მაესტროში“ მიმდინარე მოვლენებზე განცხადებას ავრცელებს.**

— საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია თვალყურს ადევნებს ტელეკომპანია „მაესტროში“ მიმდინარე მოვლენებს და როგორც დამფუძნებლებს, ისე მმართველ კომპანიას მოუწოდებს, მხოლოდ სამართლებრივი გზით გადაწყვიტონ მათ შორის არსებული დავა და დაპირისპირება. ასევე, უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ ჟურნალისტებისთვის თავისუფალ გარემოში საკუთარი პროფესიული საქმიანობის შესრულება. ჩვენი აზრით, ნებისმიერ დაპირისპირებაზე თუ ფინანსური სახის საკითხებზე მაღლა უნდა იდგეს მედიის დამოუკიდებლობა, — ნათქვამია კომისიის განცხადებაში.

ტელეკომპანია „მაესტროს“ შენობაში დილიდან ეროსი კიწმარიშვილი რამდენიმე პირთან ერთად იმყოფებოდა; თანამშრომლებს მუშაობის დაწყების საშუალება არ ჰქონდათ. გათიშული იყო ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერიც. „მაესტრომ“ მუშაობა გუშინ, შუადღისას განაახლა. ტელეკომპანია საგანგებო რეჟიმში, უწყვეტი ეთერით მაუწყებლობს.

## მამუკა ღლონტი: კიწმარიშვილის კომპანიასთან კონტრაქტი გაწყვეტილია

**„მაესტროს“ მმართველ კომპანიასთან კონტრაქტი გაწყვეტილია, ამის შესახებ განცხადება „მაესტროს“ ყველა დამფუძნებლის სახელით ტელეკომპანიასთან მამუკა ღლონტმა გააკეთა.**

**მისი თქმით, რაც გუშინ ხდებოდა „მაესტროში“, არის სპეცოპერაცია და განმეორება იმისა, რაც ტელეკომპანია „იმედში“ წლების წინათ მოხდა.**

— დამფუძნებელთა 100%-ის სახელით ჩვენ ვწყვეტთ ხელშეკრულებას ეროსი კიწმარიშვილის კომპანიასთან, რადგან მან ძალა იხმარა ტელეკომპანიის თანამშრომლებზე და შეწყვიტა საწარმოო პროცესი. მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს, თუმცა ნათელია, ამ შემთხვევაში რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო. მაქვს სერიოზული ეჭვი, რომ მზადდება სპეცოპერაცია „იმედი-2“ „მაესტროს“ წინააღმდეგ. დამოუკიდებელ ტელეკომპანიას დაკეტვის საფრთხე ემუქრება, — განაცხადა მამუკა ღლონტმა.

ტელეკომპანიის დამფუძნებელმა საზოგადოებას, დიპლომატიურ კორპუსს და მედიას მოუწოდა, მშვიდობიანი მეთოდებით, ძალადობის გარეშე, ყველაფერი გააკეთონ ტელეკომპანია „მაესტროს“ დასაცავად.

— მივმართავთ ელჩებს, მედიას, საქართველოს მოქალაქეებს, რომ დაგვიცვათ ეროსი კიწმარიშვილის ბანდისგან და არ განმეორდეს „იმედი-2“. ჩვენ უკვე ვნახეთ ბეჭდვურ მედიაზე შეტევა, ის კი რაც ტელეკომპანია „მაესტროში“ ხდება, ამის გაგრძელებაა. ეროსი კიწმარიშვილი ახლა რაღაც თანხების მოპარვას გვაბრალებს და შესაძლოა, „მაესტრო“ დახურონ. ვთხოვთ, პატრულის თანამშრომლებს, გამოათრიონ ხულიგანი ეროსი კიწმარიშვილი და შეგვიშვან შენობაში ტელეკომპანიის დამფუძნებლები, — აღნიშნა მამუკა ღლონტმა.

ტელეკომპანია „მაესტროს“ დამფუძნებლების ინტერესებს ადვოკატი დიმიტრი გაბუნია დაიცავს.

## მედიას „მაესტროს“ მხარდაჭერისკენ მოუწოდებს

**ტელეკომპანია „მაესტროს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა ღლონტი მედიას ტელევიზიის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. ეს განცხადება ღლონტმა „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში გააკეთა.**

— მედიის წარმომადგენლებს ვთხოვ, მობრძანდნენ ჩვენთან, დაგვიჭირონ მხარი. თუ მოგვეცემა საშუალება, დავიწყებთ უწყვეტ ეთერს. ამასთან, ვთხოვ საზოგადოებას, ნუ აჰყვება პანიკას, ჩვენ არ გვჭირდება გამოსვლები, არავითარი ძალადობრივი მოქმედებები, ეს მხოლოდ მათ წისქვილზე მიუშვებს წყალს, ვისი სურვილიცაა „მაესტროს“ მუშაობის შეწყვეტა, — განაცხადა ღლონტმა.

მისივე თქმით, ტელევიზიის ჟურნალისტების თითქმის მთელი კოლექტივი გმობს ეროსი კიწმარიშვილის საქციელს და ემორჩილება „მაესტროს“ დამფუძნებლებს.

ტელეკომპანია „მაესტროს“ შენობაში დილიდან ეროსი კიწმარიშვილი რამდენიმე პირთან ერთად იმყოფებოდა. თანამშრომლებს მუშაობის დაწყების საშუალება არ ჰქონდათ. გათიშული იყო ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერიც.

მოგვიანებით, ტელეკომპანიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა ღლონტმა და თანამშრომელთა ნაწილმა შენობაში შეღწევა მოახერხეს და „მაესტრო“ ეთერში ღლონტის განცხადებით გავიდა. „მაესტრო“ ამ დროისთვის პირდაპირ ეთერში მაუწყებლობს.

## „კიწმარიშვილი სახელისუფლო ეფექტური ინსტრუმენტია“

**ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრი, დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე არ გამორიცხავს, რომ ეროსი კიწმარიშვილი სახელისუფლო ეფექტური ინსტრუმენტის როლს ასრულებდეს.**

ამის შესახებ ჟურნალისტებს დიმიტრი ლორთქიფანიძემ ტელეკომპანია „მაესტროში“ განვითარებული მოვლენების კომენტირებისას განუცხადა და დასძინა, რომ ამ ინსტრუმენტის ამოქმედების ხელშემწყობი მიზეზი შესაძლოა, გუშინ „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში ბიძინა ივანიშვილის სტუმრობაც ყოფილიყო.

## „კიწმარიშვილი ხელისუფლების მორიგ დავალებას ასრულებს“

**ეროსი კიწმარიშვილი ხელისუფლების მორიგ დავალებას ასრულებს. ამის შესახებ „თავისუფალი დემორკატების“ წევრმა ვიქტორ დოლიძემ განაცხადა.**

მისი თქმით, ეს ეჭვი საკმაოდ საფუძვლიანია, რადგან ტელეკომპანია „მაესტროსთან“ დაკავშირებული ყველა სადავო საკითხის მოგვარება სხვაგვარადაც შეიძლებოდა.

## ეროსი კიწმარიშვილი: ტელეკომპანია „მაესტროს“ 2012 წლის 30 ნოემბრის შემდეგ დავტოვებ

**ტელეკომპანია „მაესტროს“ 2012 წლის 30 ნოემბრის შემდეგ დავტოვებ, — ამის შესახებ ეროსი კიწმარიშვილმა გუშინ განაცხადა. მისივე ინფორმაციით, მმართველ კომპანიას „მაესტროსთან“ კონტრაქტი სწორედ ამ დროს ეწურება**

იგი მედიის წარმომადგენლებს ტელეკომპანიის ეზოში შეხვდა და განმარტა, რომ მასზე ხორციელდება ზეწოლა.



როგორც კიწმარიშვილი ამბობს, ამ დროისთვის ტელეკომპანიის შენობაში უკანონოდ არის შეჭრილი მამუკა ღლონტი, რომელიც უკანონო ქმედებებს ახორციელებს.

კიწმარიშვილის განცხადებით, სურს თანამშრომლებთან შეხვედრა და საუბარი. თუმცა, თანამშრომლების მოთხოვნა, რომელიც არხის გენერალური დირექტორის დაბრუნებას უკავშირდება, კიწმარიშვილს უსაფუძვლოდ და არალეგიტიმურად მიაჩნია.

როგორც კიწმარიშვილი განმარტავს, ტელეკომპანიის განვითარებაში ჩადებული აქვს 4,5 მილიონი ლარი და აქედან სოლიდური თანხა არის გაფლანგული. ეროსი კიწმარიშვილი ამ და სხვა კითხვებზე პასუხს მოითხოვს.

მას შემდეგ, რაც ეროსი კიწმარიშვილმა განცხადება გააკეთა, ჟურნალისტებს მოუწოდა, ტელეკომპანია „მაესტროს“ ეზო დაეტოვებინათ.

№ 226. ხუთშაბათი, 1 დეკემბერი, 2011 წელი.

ცხოვრებისეული სურათები




## სროლა მიზანში

იმ დღეს აქუს კონფლიქტოლოგ-პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი ჰყავდა სტუმრად.

სიტყვამ მოიტანა და, პაატამ გაიხსენა, ჩვენმა სუპერლეიბორისტმა შალვა ნათელაშვილმა ამას წინათ ამერიკაში ყოფნისას თეთრი სახლის წინ ხუთკაციანი ბოზოქარი აქცია რომ მოაწყო და სწორედ ისეთი ინგლისურით სჭექდა, როგორი რუსულითაც ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთმა გმირმა ფოსტის გამგე ივანე რუსი გადარია. პრეზიდენტმა სააკაშვილმა შალვას ინგლისურზე ბევრი ილაღავაო.

ამას რომ ყვებოდა, სტუდიაში ვიღაც ქალბატონმა დარეკა – მართალია თვითონ პრეზიდენტმა ბევრი უცხო ენა იცის, მაგრამ მთავარი – საკუთარ ხალხთან სალაპარაკო ენა – არაო.

ზუსტად მოარტყა!

## ასაცოცხი ჩონჩორიკი



„ვარდების მოედანზე“ დასტურ გულივერის შესატყვისი ველოსიპედი შემოაგორეს ძეგლად – ორსაჭიანი, ორუნაგირიანი, საჭეები სხვადასხვა მხარეს გაგახვევინებს, უნაგირები ერთმანეთს უყურებს... გოგო თუ შემოისვი, შეგიძლია ცხვირი ცხვირზე მიადო და მთელი გზა ნაცმოძრაობაზე ისე ესაუბრო, თავი არც კი შეაბრუნო ავლაბრის რეზიდენციისკენ.

ამ ძეგლ-ველოსიპედს რამდენიმე ეროვნული დატვირთვა აქვს:

1. ნებისმიერს, ვისაც ამ სახის ტრანსპორტით არასდროს უსეირნია, სურვილს აღუძრავს, სასწრაფოდ გამოასწოროს ეს მიუტევებელი ნაკლი;

2. მისდაუნებურად მიგანიშნებს, რომ „ვარდების მოედანზე“ მისი დამდგმელნი შინაგანად მზად არიან, რაც შეიძლება მალე, ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით, დაახვიონ აქედან;

3. ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეთათვის საჭირო არ არის, ანუ ზედმეტია მაღალი ხელოვნება, ასეთი ულტრათანამედროვე მოდერნისტული „სკულპტურებითაც“ იოლად გავალთ. აკი უკვე შეაყენეს კვარცხლბეკზე „შლოპანცებიანი“ კვერცხები, დაჭმუჭნული პლასტმასის ბოთლი... ვინ იცის კიდევ რამდენი ბრინჯაოსა და ქვაში განსხეულებული საყოფაცხოვრებო ნივთი – ტაფა, ჩანგალი თუ ტანტრაბეჩი დაგვიმშვენებს ქალაქებსა და დაბებს;

4. ზოგი იოლად იტყვის, ველოსიპედიო და როგორ ჩაგვახუტა ამერიკასთან! ჯერ ერთი, პრეზიდენტი რეიგანი ჩამოგვისვა რიყეზე, მეორეც, ამერიკაევროპის ველოტურისტები შეაგულიანა – მოჯარდით საქართველოში მისი ბიუჯეტის შესავსებადო;

5. ამ ძეგლმა მისდაუნებურად, ისე რომ ჩვენი ხელისუფლება აზრზე არ არის, უფრო დაგვაახლოვა რუსულ ლიტერატურასთან, კერძოდ ილფისა და პეტროვის მაცდურწარწერიან „ეჰ, გავისეირნოთ!“ „ანტილოპა გნუსთან“;

6. რაც მთავარია, საბოლოოდ დავრწმუნდით, თუ რა დიდი სამუშაო გველის ქვირფასი ნაცების პოლიტიკიდან გადაშენების უმალ. ყველაფერს თავი დავანებოთ, რამდენი ასეთი ჭკუამილმური ძეგლ-ნაგავი და ამ ნაგვის მომწონებელ-წამქეზებელია ასაცოცხი ცხენის ჩონჩორიკივით.

## ბაგრატიონ-წიკლაურმა ხელი გამოიღო



უკვე ყველაფერს კადრულობენ.

ისეთსაც კი, რის კადრებაც არამც და არამც არ შეიძლება ელემენტარული ზნეობრივი პოზიციიდან.

ეს გაფიქრებინებს, რომ სადღაც – სახელმწიფო კანცელარიაში ან რომელიღაც სპეცსამსახურში შექმნილია მთელი ლაშქარი პიარსპეციალისტებისა, რომლებიც თავბრუდამხვევ ანტიბიძინურ (საერთოდ, ანტიანტინატოურძ სიუჟეტ-სიბრძნეებს იგონებენ ან სხვა ქვეყნების გამოცდილებას ეფიცხებიან.

პწკენა-პწკენით პატარძალი დაორსულდაო.

იმდენი იძახეს ბიძინა ივანიშვილი რუსულ თამაშს თამაშობსო, ნატოში შესვლის წინააღმდეგიაო, ზოგიერთი მალემრწმენი მგონი მართლა დააჯერეს ამ გამონაგონში, ყოველ შემთხვევაში დაითანხმეს, რომ საჯაროდ იძახოს, მჯერაო.

იმ დღეს ყველამ მოვისმინეთ ამგვარად დაორსულებული ერთი კახელი ქალბატონი რომ იჭაჭებოდა: მაგ კაცსა (ივანიშვილსძ, ქა, ნატოში შესვლა არა სდომებიაო.

წადი ახლა და უმტკიცე, რომ აქლემს ხორთუმი არა აქვს.

გამოვიდა იმ დღეს პარლამენტარი ნუგზარ წიკლაური პარლამენტში და ისე, რომ ის პიტალო სახე არ შეტოკებია, ბიძინა ივანიშვილს „აღზევებული მდაბიო“ უწოდა.

რატომ ღმერთი არ გაიცინებს.

ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველებოდესო.

ეს წიკლაური რა ისეთი გიორგი XII-ის პირდაპირი შთამომავალი მყავს, სხვას რომ აგდებით მდაბიოს უწოდებს. ვითომ როგორც ძველად იტყოდნენ, აკვანს ჩეფჩიკიანი გუვერნანტკები ურწევდნენ?

ნუგზარ წიკლაურის წინაპრები ფხოვსა და მთიულეთ-გუდამაყარში ყოჩალი მეცხვარეები იყვნენ, დრემლის სუნი ემშობლიურებოდათ და აზნაურობა არ უძებნიათ. ახლა რომ წამოახედათ, რა თავგანწირვით ეპოტინება მათი ნაგრამი ცისფერსისხლიანობას სხვისი დამცრობის ხარჯზე, ალბათ მის პარლამენტარობას არად დაგიდევენ და იმ ნამყენ ყურებს დაახევდნენ.

რაც მთავარია, ასეთი აგდებული ტონი ვის ვის და ბიძინა ივანიშვილს სწორედაც არ ეკადრება: ერთი დუჟინი ბიძინასნაირი „აღზევებული მდაბიო“ მოგვცა მთელი საპარლამენტო კორპუსის ნაცვლად და ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს!

**ალეკო ასლანიშვილი**

სარედაქციო ფოსტიდან

# ნალოლიავებ იმედს არ დაგითმობთ!

## მოგვაშორეთ თქვენი სიკვდილის ბრიგადები, თორემ მოიმკით ქართველ შაჰიდებს!

**ამ შავბედობის ჟამს ქართულმა გენმა ისევ იჩინა თავი თვითგადარჩენის მიზნით, ამჯერად ბატონი ბიძინა ივანიშვილის სახით! მის საქმიანობაზე, სიკეთის მასშტაბებზე, ამ სიკეთის შინაარსსა და ფორმებზე (აქ სიტყვა ქველმოქმედება ნამდვილად ფერმკრთალდება) ბევრი თქმულა და დაწერილა, ამიტომ უნდა აღვნიშნო, ჩემი აზრით, განსაკუთრებული მოქმედება: ქართველთა მიმართ წარმოებული მძვინვარე გენოციდის დროს, როცა ჩვენს საუკეთესო შვილებს (ვინც ვერ აიძულეს სამშობლოს დატოვება!) მიზანმიმართულად, სხვადასხვა ხერხით, ხოცავენ დღისით-მზისით, სოფლად თუ ქალაქად...**

ბიძინა ივანიშვილი მრავალი წლის განმავლობაში, როგორც სჩვევია, უხმაუროდ ახორციელებდა უმნიშვნელოვანეს საქმეს – ჩვენი განახევრებული გენოფონდის, ჯიშის ფიზიკურ გადარჩენას! იგი ავადმყოფობისგან სიკვდილისთვის განწირულ ათასობით (!ძ ადამიანს მოევლინა როგორც ერთადერთი იმედი, მოევლინა იმ დროს, როცა „დემოკრატიულ“ უნიფორმაში გამოწყობილმა დღევანდელმა, ადგილობრივმა „გესტაპოელებმა“ უმარტივესი მკურნალობის საშუალებაც არ დაგვიტოვეს, არამცთუ საშინლად გაძვირებული, გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების საფასურის გადახდის შესაძლებლობა. ამ დროს თვითონ კი იმდენს შოულობენ, რომ არაფრად უღირთ ევროპაში პედიკიურის, ტატუს თუ მშობიარობისთვის გამუდმებული სიარული. ამ აღზევებულ ადამიანებს არ განუცდიათ უსახსრობისგან სასიკვდილოდ განწირული მშობლის, დედმამიშვილის თუ შვილის თვალებში ჩახედვის სიმწარე (ამას მაგათაც არ ვუსურვებ!ძ. მაგათ ისიც ვერ წარმოუდგენიათ – ყველაფერი რომ გაყიდო, სახლიც კი, ოჯახი ქუჩაშიც რომ დაგრჩეს, მაინც არ გიგროვდება აუცილებელი ქირურგიული ოპერაციისთვის საჭირო თანხა! აი, ასეთი უიმედოდ დარჩენილი ათასობით ოჯახი გადაარჩინა ბატონმა ბიძინამ. ახლაც არ გჯერათ, რომ ღვთის მოვლენილია?!



მახსენდება ბატონი ბიძინას წინააღმდეგ დაგეგმილი და აგორებული ცილისწამების წინა კამპანია, როცა დაგეშილი მჯღაბნელები უკიჟინებდნენ – რატომ მაინცდამაინც საჩხერის რაიონს ეხმარეში და არა სხვებსო? (გამონახეს „კომპრომატი“!ძ ახლა ყველა იმათგანს ვურჩევ, რადგანაც მიგიწვდებათ ხელი (კალამიძ და გიბეჭდავთ ის თქვენი მრავალტირაჟიანი გაზეთი, მიმართეთ თქვენს მკითხველებს – დაუჭირონ მხარი ბატონ ბიძინას, რათა შეასრულოს თქვენივე მოთხოვნა – აწი მთელ საქართველოს მიხედოს და უშველოს!

იმ დროს, როცა მოგვევლინა ჩვენი ჯიშის პიროვნება, რომელშიც აკუმულირდება უდიდესი სიკეთე, ნიჭი, ერისთვის თავგანწირვის უნარით, პიარჭინკებმა უმალ მიაკერეს ღვთისნიერ კაცს თავიანთი ბოსის „შემოქმედების“ უმაღლესი მიღწევა – „რუსული პროექტი!“ თქვე არდალოცვილებო, მაგდენიც არ იცით, რომ „პროექტი“ – უსულოა? აი თქვენი კერპი – უსულო და უგულო პრეზიდენტი – მაკკეინის და ამერიკელი სომხების საქართველოში შემოგდებული – პროექტია! და თუ მაინცდამაინც გაინტერესებთ ივანიშვილი ვინ არის – ის შვილია საქართველოს შუაგულის – იმერეთის! რა, დავით აღმაშენებლისა და აკაკი წერეთლის კუთხიდან აღარ ელოდით სასწაულს? დაიბენით?!

ისე კი, იცოდეთ, ქართველების გენოციდის ფელდმარშლის შტაბის „საპატიო“ წევრებო, ხელისუფლებამითვისებულო ფსევდონაციონალებო, დანიშნულო ოპოზიციონერებო, ბატონი ბიძინა, ისედაც დაგვიანებული, ხალხის დიდხანს ნანატრი იმედია და მას არ დაგანებებთ! ჩვენ, მისგან გადარჩენილი ათასობით ქართველი, პირველივე ნიშანზე შევიკრიბებით, მის გვერდით დავდგებით და ივანიშვილის მიერ უკვე მრავალი წლის ნაჩუქარ სიცოცხლეს შეგაკლავთ! გაფრთხილებთ – მოაშორეთ ქართველ ხალხს თქვენი სისხლიანი სიკვდილის ბრიგადები! ნუ გვაიძულებთ, რომ ქართველ შაჰიდებად ვიქცეთ...

**ასლან კალმახელიძე,**
**საჩხერე.**

ინფორმაცია

## „სოზარ სუბარი კოტე გოგელიას ჯიბეს ჩამოეკიდა და იმის დაკრულზე ცეკვავს, ვინც ფულს უხდის“

„ქართული პარტიის“ თანათავმჯდომარე ირაკლი ოქრუაშვილი მიიჩნევს, რომ სოზარ სუბარი კოტე გოგელიას ჯიბეს ჩამოეკიდა და იმის დაკრულზე ცეკვავს, ვინც ფულს უხდის.

ამის შესახებ აღნიშნულია „ქართული პარტიის“ განცხადებაში, რომელიც პარტიიდან სოზარ სუბარის წასვლასთან დაკავშირებით გუშინ პრესსამსახურმა გაავრცელა.

„ქართული პარტიის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარი ორ თვეზე მეტია პარტიის ოფისში არ გამოჩენილა და არც პარტიულ საქმიანობაში მიუღია მონაწილეობა. პარტიის თავმჯდომარე არ დაინტერესებულა იმით, რა პროცესები ვითარდებოდა პარტიაში. არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, დღეს კი განცხადება გააკეთა პარტიიდან წასვლის შესახებ და ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოიხსნა იმ ადამიანების წინაშე, ვინც დღეს პარტიის ერთგულების გამო ციხეშია, ან ქვეყნიდან არის განდევნილი, – აღნიშნულია განცხადებაში. სოზარ სუბარმა „ქართული პარტიის“ დატოვების შესახებ პირველად, ოფიციალურად გუშინ რადიო „პალიტრის“ პირდაპირ ეთერში ჩართვისას განაცხადა.

მისი თქმით, პარტიიდან კარგა ხანია წამოსულია, თუმცა ამის შესახებ საჯარო განცხადება აქამდე არ გაუკეთებია. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ამ თემაზე საუბარი სუბარმა არ ისურვა.

## ისლანდიამ პალესტინა სახელმწიფოდ აღიარა

ისლანდიის პარლამენტმა პალესტინა სახელმწიფოდ აღიარა. პალესტინის ავტონომიის საგარეო საქმეთა მინისტრის რაიდ ალ-მალკის განცხადებით, ისლანდიამ პალესტინა 1967 წლის საზღვრებში აღიარა.

ასოშიეიტედ პრესის ინფორმაციით, აღნიშნულ გადაწყვეტილებას ისლანდიის პარლამენტის 63 წევრიდან მხარი 38-მა დაუჭირა.

შესაბამისად ისლანდია გახდა დასავლეთ ევროპის პირველი სახელმწიფო, რომელიც პალესტინის სახელმწიფოს აღიარებს.

– ისლანდიამ პირველმა დასავლეთ ევროპაში გადადგა ეს ნაბიჯი, – განაცხადა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოსურ სკარფეინსონმა.

მისივე თქმით, პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მას აძლევს უფლებას, ქვეყნის მთავრობის სახელით გააკეთოს ოფიციალური განცხადებს, თუმცა ამ ნაბიჯის გადადგმამდე ის კონსულტაციებს გაივლის სკანდივანიის სხვა ქვეყნებთან.

პალესტინის ავტონომიის საგარეო საქმეთა მინისტრის რაიდ ალ-მალკის განცხადებით, ის უახლოეს პერიოდში ეწვევა ისლანდიას, რათა გაფორმდეს ხელშეკრულებები ურთიერთცნობისა და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

შეგახსენებთ, რომ პალესტინის აღიარების განცხადებები გაკეთებული აქვთ კუბას, ჰონდურასს, კოსტა-რიკას, ნიკარაგუას, დომინიკის რესპუბლიკას, არგენტინას, ბრაზილიას, ბოლივიას, ჩილეს, ეკვადორს, სალვადორს.

31 ოქტომბერს „იუნესკოს“ გენერალურმა კონფერენციამ, გაეროს სააგენტოს ამ უმაღლესმა ორგანომ, პალესტინის „იუნესკოში“ მიღებას კენჭი უყარა. კენჭისყრის შედეგად პალესტინის ხსენებულ ორგანიზაციაში გაწევრების რეზოლუციას მხარი იუნესკოს წევრმა 107-მა ქვეყანამ დაუჭირა. 14 ქვეყანა კი წინააღმდეგ წავიდა.

ჯი-ეიჩ-ენი

## თვალსაზრისი

# ნაციონალური საკითხი უმთავრესია



**ვესაუბრებით საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ელდარ ნადირაძეს**

**— ბატონო ელდარ, უკანასკნელ ოცწლეულში ჩვენმა ქვეყანამ ტრაგიკული ცხოვრების ურთულესი გზა განვლო. ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში სამი მთავრობა გამოვიცვალეთ და ყველა მათგანმა ქვეყნის სათავეში მოსვლა ნაციონალური თემით დაიწყო. როგორც ჩანს ეს თემა ჩვენი ხალხის ხასიათზეა გათვლილი, მათ დაუშრეტელ სიყვარულზე სამშობლოს მიმართ...**

— სრულიად გეთანხმებით. ჩვენი ხალხის სოციალური გასაჭირი ვერასდროს იქცევა საფუძვლად მასში პატრიოტული გრძნობების ჩაკვლისთვის. ნაციონალებმა კარგად ითამაშეს ამ გრძნობებზე და კარგა გვარიანადაც გვაყვირეს. მათი სახელიცა და დაპირებანიც ნაციონალური ინტერესების დაცვისა და გაძლიერების პროპაგანდით მიმდინარეობდა, მაგრამ როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდნენ, ამ თემის საქმით გაგრძელების არავითარი ხალისი აღარ გამოუჩენიათ. უფრო მეტიც, მათ ბრძოლა გამოუცხადეს ჩვენი კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებს, გაჩნდა დაუფარავი დისკომფორტი ასაკოვანი, დამსახურებული ხალხის მიმართ. თუ ერი თავის ინტელექტუალური შესაძლებლობების რეალიზებას ვერ ახდენს, თუ ქვეყანაში პატივს არ სცემენ ნიჭიერებას, თუ აბუჩადაა აგდებული ყველაფერი ნაციონალური, ასეთ ერს გადაშენება ემუქრება. თავად განსაჯეთ: ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების მიერ, უდიდესი ძალისხმევით, კავკასიაში პირველი უნივერსიტეტი გაუქმებულია — ანუ გადაქცეულია რაღაც საშუალო დონის კოლეჯად, რომელსაც გამოცლილი აქვს ეროვნული სულიერება, გაძარცვული და უფლებააყრილია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, გალანძღულია ქართული თეატრი, უგულვებელყოფილია და მეორე პლანზეა გადასროლილი ქართული ენა. როცა საქართველოს ყველაფერგაერთიანებული ინსტიტუტის (ვითომ ილია ჭავჭავაძის სახელი რომ ჰქვია) დირექტორი (თუ რექტორი), საქვეყნოდ აცხადებს, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა ინგლისური უნდა იყოს, როცა მოსახლეობას აიძულებენ ერთადერთ გასართობ საშუალებას-კინოს „ინგლისურად უყურონ", როცა შევიწროებული, გაძარცვულია და დახურვის პირასაა მისული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, განსაკუთრებით ისინი, რომლებთაც ნაციონალური ინტერესების შესწავლა, გაღვივება და დაცვა შეეძლოთ, როცა სასკოლო-საგანმანათლებლო სისტემა ისეა მოწყობილი, რომ სკოლის დასრულების შემდგომ მოსწავლემ არ იცოდეს ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, როცა ქართულ დიპლომს არ გააჩნია არავითარი ღირებულება, თავად განსაჯეთ რა ნაციონალობაზეა ლაპარაკი.

დღევანდელ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს მხოლოდ იმიტომ არ აუქმებენ, რომ იგი აქციეს შემოსავლის წყაროდ და თუ ადრე მექრთამე ლექტორები უხუთავდნენ სულს აბიტურიენტთა მშობლებს, ახლა სახელმწიფო აკეთებს ამას. ფულს სძალავს მშობლებს და არავითარ პასუხისმგებლობას არ ღებულობს მათი შვილების შემდგომ ბედზე.

**— თქვენთვის როგორც ქართული ეთნოკულტურის მკვლევარისთვის, რა არის უმთავრესი, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი ნაციონალური ღირსება?**

— ყველა ერს აქვს ერთი ცენტრალური ბგერა, რომლის გარშემო იკრიბება მთელი ჰარმონია მისი არსებობისა. ასეთი ჩვენთვის მიწათმოქმედებაა. ყველაფერი, რაც კი გაგვაჩნია საუკეთესო — ლექსი, სიმღერა, ცეკვა, სტუმართმოყვარეობა, ტრადიციები, ამაზეა დამყარებული. ამ დროს ჩვენი ხელისუფლება ზურგშექცევით დგას ამ უმთავრესი ეროვნული დარგის მიმართ. ისინი თავს იწონებენ მათხოვრობით- გვიცნობენ და დაგვეხმარებიანო, კი, ბატონო, მაგრამ, ისიც ხომ ცნობილია, ვინც გაჭმევს მისი სურვილებიც უნდა შეასრულო. აკი ვასრულებთ კიდევაც: არ არსებობს საქართველოში სტრატეგიული ობიექტი, რომელიც არ გაყიდულიყოს უცხოელებზე — მათ შორის რუსებზე, რომლებიც ჩვენი ხელისუფლებისგან ერთბაშად დაჯილდოებულებიც არიან და შერისხულებიც. ასეთი პარადოქსები დღემდე უპასუხოდაა დარჩენილი, მათი წამომწყები და ხელისშემწყობნი კი მორჭმით სხედან თანამდებობებზე.

**თუ მთავრობას არ შეუძლია, ან არ თვლის საჭიროდ, გაარკვიოს ურთიერთობა მეზობელ ხალხთან, რომელიც პრეტენზიებითა და ძალადობით მოიწევს არა მხოლოდ ტერიტორიების, არამედ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მისათვისებლად, რა ნაციონალობაზეა საუბარი.** ისინი სამშობლოს ინტერესებს კი არა თავიანთ თანამდებობას იცავენ და მიაჩნიათ, რომ სწორედ დათმობა, სხვათა სურვილების შესრულება, სხვათა კანონების დამკვიდრება, მორჩილება და უპრეტენზიობა არის უმთავრესი, რაც მათ ამ სკამებს შეანარჩუნებინებს.

**— რა არ მოგწონთ იმ პროცესებიდან, რომლებიც უკვე დაიწყო, ან რას იტყოდით ცალკეული ეპიზოდების შესახებ, რომლებიც ასევე უხერხულობას ან უკმაყოფილებას იწვევს თქვენში?**

— როცა ბრძოლას იწყებ, გონიერება გმართებს, შეფასებული უნდა გყავდეს შენი მოწინააღმდეგე. ამას არ ვამბობ ბიძინა ივანიშვილის შესახებ, რომლის გამოჩენა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში უდიდეს იმედს აჩენს, მან ძალიან კარგად იცის, ვისაც შეება, მაგრამ ჩვენს ოპოზიციას ამის გრძნობა არ აქვს. უკვე დაიწყეს ჩვეული ქადილი, რომ მიშას უეჭველად დაასამარებენ. თქვენ გახსოვთ ექსცენტრიული შეძახილი — „მიშა, მოვდივარ!" ხომ ნახეთ, რა სასტიკად დასაჯეს ეს თავისუფლებისმოყვარე ხალხი ასეთი ლირიკული პროტესტისთვის. ამას გათვალისწინება უნდა სამომავლოდ და მეტი სერიოზული მიდგომაა საჭირო, რათა მოწინააღმდეგე შეაფასო.

ოპოზიციას ჰქონდა უზარმაზარი შანსი, შეეცვალა ეს მთავრობა, მაგრამ გამარჯვების ეიფორიაში მყოფები, ერთმანეთს წაეკიდნენ ჯერ კიდევ მიუღებელი თანამდებობის გულისთვის. ეს დაუოკებელი სურვილი მათ ახლაც თან სდევთ. ესაა ნაღმი, რომლის აფეთქებას ყველა ხელსაყრელ მდგომარეობაში უნდა ველოდოთ.

საქართველოს ეროვნული პოლიტიკის სივრცეში მე ვერ ვხედავ რესპუბლიკელების ადგილს, მაგრამ მათი პოლიტიკური მიმართულება, ალბათ, იმდენად ემთხვევა დღევანდელი მსოფლიო მოწყობის იდეას, მის გლობალისტურ მიზნებს, ვფიქრობ, მათი მიწვევა ამიტომ იყო ნაკარნახევი. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ მათ გარეშეც შეძლებდა ივანიშვილი პოლიტიკური წარმატების მიღწევას. რესპუბლიკელებმა ყველა არჩევნებში თითქმის ხმების მინიმალურ რაოდენობას აგროვებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ხალხში არ სარგებლობენ პოპულარობით. ამის უმთავრესი მიზეზი კი მათი კოსმოპოლიტური იდეოლოგიაა. ლევან ბერძენიშვილი, მათი ბელადი და მეტრი, არის თავისუფლების ინსტიტუტის დიდი გურუ, რომლის აღზრდილმა მოწაფეებმა: რამიშვილმა, ბოკერიამ, ლომაიამ, ზურაბიშვილმა, თუთბერიძემ და კიდევ ბევრმა, მხოლოდ ანტიქართული მოღვაწეობით გამოიჩინეს თავი. ლევან ბერძენიშვილის ამჟამინდელი დამთბარი ლაპარაკი ეროვნული ფასეულობების შესახებ არის წმინდა წყლის ფარისევლობა. განა დაგვავიწყდა მისი ქინდილი ქართველი ხალხის კულტურულ მონაპოვრებთან დაკავშირებით, ქართველი მამულიშვილების გაბიაბრუების მისეული ოპუსები, მისი ატაცებული ქინი, ძირს დაემხო ჩვენი კლასიკოსი ავტორიტეტები. ბერძენიშვილები და უსუფაშვილები, ახლა ბიძინას უბეს შეფარებულები, უკვე სხვანაირად ალაპარაკდნენ, კარგი დამკვირებელი უთუოდ შეამჩნევს, როგორ თანდათან შეერიათ ფოლადი ხმაში, რაც იმის საწინდარია, რომ მათი პარტიული მიზნებისა და პირადი ამბიციების დაკმაყოფილება მომავალში ძალზე ძნელი იქნება. ეჭვი არ მეპარება, რომ გამარჯვების შემთხვევაში, ისინი იქნებიან პირველნი, ვინც ბიძინა ივანიშვილს აუმხედრდებიან.

**— თქვენი აზრით, როგორია განწყობილება ხელისუფლების შიგნით, ჯერჯერობით ამ განწყობილების ზედაპირულ ხედვას ახმოვანებენ გაბაშვილი, წიკლაური, დარჩიაშვილი, მინაშვილი, თორდია და ზოგადად ტელევიზია, მაგრამ სინამდვილეში რამდენად მოტივირებულია ხელისუფლება რეალურად არსებული სიტუაციით, როგორ ფიქრობთ, აქვს გარკვეული საფუძველი, შეინარჩუნოს ძალაუფლება?**

— როცა ნაციონალები სახალხოდ ამბობენ, რომ ბენდუქიძის ფული და დამსახურება პატიოსნებითა და ღირსებით ივანიშვილისას აჭარბებს, ესაა ელემენტარული შიშველი სიცრუე. როდესაც საკუთარი მდგომარეობით გაბედნიერებულ წიკლაურს სურს, მარადიულად გაგრძელდეს მისი დღესასწაული და ქართველი ხალხისთვის დამაშვრალ კაცს ბიძინა ივანიშვილს ზღვარდაუდებელი უდიერებით იხსენიებს, ეს მის საწინააღმდეგოდ მუშაობს, მერწმუნეთ, რომ ასეთი განცხადებები ნაციონალების გუნდის საზიანოდ მოქმედებს.

რაც შეეხება რეალურ მდგომარეობას, ნაცმოძრაობას რაღაცა იმედი უნდა ჰქონდეს. დავიწყებ იმით, რომ დღევანდელი სოციალური ფონი არ ხასიათდება დიდი ფეთქებადი ნიშნით. შევარდნაძის პერიოდთან შედარებით ზოგი რამ მოგვარდა და ბევრი ისეთი რამეც გაკეთდა, რაც ხალხის თვალს იოლად ხვდება. ყველაფერი ამის ტირაჟირება და მოსახლეობისთვის მიწოდება უალტერნატივოდ ხდება ისეთი უძლავრესი საპროპაგანდო საშუალებით, როგორიცაა ტელევიზია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში დემოკრატიული სახელმწიფოსათვის საჭირო არც ერთი ინსტიტუცია არაა სათანადო სიმაღლეზე და ფაქტობრივად ყველაფერი მორგებულია ერთი კაცის ნებას, ადამიანთა გარკვეული ნაწილი მოვლენებს სიღრმისეულად ვერ აღიქვამს, დიდი ძალა აქვს პროპაგანდას, სააკაშვილი ავად თუ კარგად აკონტროლებს საპენსიო და სახელფასო ბიუჯეტის შევსებისა და ხარჯვის ნაწილს. სხვა საქმეა როგორი ხერხით ახორციელებს ამას, ეს მომენტი კი ძალზე მოქმედებს მასაზე. ეს ხალხი შევარდნაძის დროსთან ავლებს პარალელს და აღარ სურს ეჭვქვეშ დააყენოს ის, რაცა აქვს. ვფიქრობ, მოსახლეობის ასეთი ფენა არსებობს. ის საყოველთაო უსამართლობანი, რაც გამოიხატება სასამართლო ხელისუფლების, სახელმწიფო რეკეტის, პოლიტიკური პატიმრების, ბიზნესის დატერორებისა და სხვა უკანონობებით პრაქტიკაში შეეხო ალბათ მოსახლეობის ათ პროცენტს, ხოლო დანარჩენ ხალხს, ვისაც თავისთავზე არ უწვნევია აშკარა ძალადობანი, ვფიქრობ, ნაკლებად აქვს პროტესტის გრძნობა და არა მგონია ერთპიროვნული მოწინააღმდეგე იყოს ნაციონალური მოძრაობისა, ამიტომ ამ ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია და ოპოზიციონერები ძველებურად ნუ დაიწყებენ გამარჯვებაზე ყვირილს. ნაციონალებს ივანიშვილზე ნაკლები ფული არა აქვთ, აქვთ ასევე დიდი ადმინისტრაციული რესურსი, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მოსახლეობაზე ძალის გამოყენებითაც. მსურს ყველამ გაითვალისწინოს ის მდგომარეობა, რომ სააკაშვილი არავის და არაფერს გაუწევს ანგარიშს ხელისუფლების შენარჩუნებისათვის. ამიტომ კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ როგორც ივანიშვილს, ასევე მის გვერდით მყოფ ხალხს, დიდი გონიერება მართებთ, ჯეროვნად შეაფასონ თავიანთი მოწინააღმდეგე.

ჩემი აზრით, ძლიერი მუხტი, რასაც ჩვენი ხალხის ამ მდგომარეობიდან გამოხსნა შეუძლია, ისევ და ისევ ნაციონალური საკითხია. კარგად, გასაგებად და დასაბუთებულად უნდა მიეწოდოს ჩვენ ხალხს ყველა ისეთი სახელმწიფოებრივი თუ კერძო ინიციატივა, სადაც ჩვენი ერის ინტერესები შეილახა. ასეთები ძალზე ბევრია და ღირს მათზე ლაპარაკი. ეროვნული იდეა არის უდიდესი ფაქტორი, რომელიც პოლიტიკური აპათიიდან გამოიყვანს ქართველობას, თუმცა აქაც ზომიერების დაცვაა საჭირო.

**ესაუბრა**
**ვილენ მარდალეიშვილი**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### რუსეთის მეოთხე სამხედრო ბაზაზე სრული მზადყოფნა გამოცხადდა

როგორც მამუკა არეშიძე გაზეთის კორესპონდენტთან ინტერვიუში ამბობს: „თუ ცხინვალში სამხედრო კონფრონტაცია და სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყო, შესაძლებელია კონფლიქტის პროვოცირება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე განხორციელდეს".



**„ვერსია".**

### გუშინდელი გაზეთებიდან

### „ვარდების რევოლუცია ბიძინა ივანიშვილმა დააფინანსა"

— განუცხადა გამოცემა „ოგონიოკს" ირაკლი ოქრუაშვილმა. მისი ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი ბიძინა ივანიშვილს ქორვილაში აგარაკზე ძალიან ხშირად სტუმრობდა.

**„ახალი თაობა".**

### პატიმარი ტკივილის გაყუჩების მოთხოვნის გამო აწამეს

ადვოკატი კახაბერ შუშალაძე გლდანის №18 სამკურნალო დაწესებულებაში პატიმრის წამების ფაქტზე საუბრობს. მისი თქმით, მსჯავრდებული მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო აწამეს, რომ თირკმლის შეტევის გამო ექიმის დახმარება მოითხოვა.

**„რეზონანსი".**

### ამ ხელისუფლების დაუდევრობით შეიძლება დასავლეთი საქართველოს დაიკარგოს?

რა საფრთხეს უქმნის საქართველოს გიგანტური ჰესების ნამახვანისა და ხუდონჰესის მშენებლობა? — ამ და კიდევ საქართველოს ბუნების სხვა ბევრ საჭირბოროტო საკითხებზე საუბრობს ქალბატონი ნინო ჩხობაძე.

**„საერთო გაზეთი".**

„რასაცა გასცემ“...

## ბიძინა ივანიშვილი:
# პოლიტიკაშიც სუფთად დავრჩები!

ამჯერად ნაკლებად მაინტერესებს რა ქვეტექსტები უდევს საფუძვლად ტელეკომპანია „მაესტროში“ ატეხილ სკანდალს. შესაძლოა ეს სულაც არ იყოს „სარედაქციო პოლიტიკაში“ „მაესტროს“ მართვის კომპანიის დამფუძნებლის, ანუ „რუსთავის მედიის მართვის კომპანიის“ შეფის ეროსი კიწმარიშვილის ჩარევის შედეგი. მით უფრო, ამ დონის შეხლა-შემოხლა (გუშინდელ ამბებს ვგულისხმობძ არ უნდა მოჰყოლოდა მაესტროს „რიგით“ დირექტორებთან (დირექციასთანძ და „რიგით“ დამფუძნებლებთან შეუთანხმებლად დანიშნულ თათბირს... ამბობენ, ძაღლის თავი, აშკარად, ფინანსურ პრობლემებთან არის დაკავშირებული, რომელიც ტელეკომპანიას რამდენიმე პარტნიორთან დაგროვებიაო! მაგრამ, დავიჯეროთ, რომ მართალია ეს და პოლიტიკა არაფერ შუაშია? როგორც ჩანს ეროსი კიწმარიშვილისთვის და ტელეკომპანიის სხვა დამფუძნებლებისთვის (ეკატერინე აკობია, მაკა ასათიანი, გიორგი ებრალიძე, მამუკა ღლონტი, ლევან ჩიკვაიძე, გენერალური დირექტორი ილია კიკაბიძეძ მთავარზე მთავარი შეიძლება იყოს კიდეც ფული, მაგრამ...



მიშავიზიების – („იმედი“, „რუსთავი-2“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „რეალტივი“) და ა.შ., ტოტალური სიცრუით გულშეღონებული ხალხის მოსასულიერებლად სახელდებული ერთადერთი ნათელი წერტილი „მაესტრო“ გახლავთ (სხვა „თბილისური“ და რეგიონული ტელეარხები, გასაგები მიზეზების გამო ვერ „ქაჩავენ“ძ და თუ ეს ნათელი წერტილიც ჩაქრა, თავისუფალ, მიუკერძოებელ, სამართლიან ელექტრონულ მედიაზე ლაპარაკი აზრს კარგავს.

„მაესტრო“ რომ აქამომდე უფრო სერიოზულ ავტორიტეტს და რეიტინგს ინარჩუნებს, ვიდრე თვით ამ ტელეკომპანიის დამფუძნებლებს ჰგონიათ, ამაზე მეტყველებს ბატონ ბიძინა ივანიშვილის გუშინწინდელი გამოსვლა ეკა ბერიძის „პირდაპირ საუბარში“.

ქართველთა ცნობიერებაში დიდ ქველმოქმედად და ზნემაღალ ადამიანად დამკვიდრებული ბიძინა ივანიშვილი, თავისი ცნობილი პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი, ეროვნული მიმართვა-განცხადებებისა და საკუთარ „მოედანზე“ გამართული პრესკონფერენციების შემდეგ, პირველად სწორედ „მაესტროს“ ღარიბულ სტუდიას ეწვია და... კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ უფლის შეწევნით და ქართველი ხალხის დახმარებით ქვეყანას აუცილებლად შეცვლის უკეთესობისკენ.

ეკა ბერიძესთან თითქმის ერთსაათიანი საუბრის (მშვიდი, გაწონასწორებული, დამაჯერებელი, შესანატრად ლოგიკური საუბრისძ მთავარი ლაიტმოტივი ის იყო, რომ ბიძინა ივანიშვილი მუდამ საქართველოსა და ქართველი ხალხის ბედზე ფიქრობდა და სამშობლოს არასოდეს განშორებია.

**— დავიბადე და გავიზარდე ქართულ მიწაზე, ქართულ სოფელში, დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი... ქართული ცნობიერება კარგად მქონდა ჩამოყალიბებული, როცა 24-25 წლის ასაკში გავემგზავრე რუსეთში. ასე რომ, ჩემი „კეთილისმსურველები“ ამაოდ ნერვიულობენ ივანიშვილის გაუცხოებული მენტალიტეტის და რუსული „ფსიქიკის“ გამო,** — თქვა ბიძინა ივანიშვილმა და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ბავშვთა აღზრდის ფსიქოლოგიაზე, აღზრდაში დაშვებულ შეცდომებზე, წუთისოფლად ადამიანის მოვლინების რაობაზე, აღუვსებელ საწყაულზე, იმ გასაცემ სიკეთეზე, რომელიც მუდამ უკან გიბრუნდება და მუდამ შენთან არის.

„რასაცა გასცემ შენია!“..

ბიძინა ივანიშვილმა ლაკონურად ილაპარაკა „ქართული ოცნების“ დაფუძნების აუცილებლობაზე და განმარტა, რომ ეს საზოგადოებრივი მოძრაობა სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესებზე კონტროლისა და მასზე საზოგადოების გავლენის ამაღლების მიზნით იქმნება. მილიარდერი ქველმოქმედის აზრით, საზოგადოებამ მკაცრად უნდა აკონტროლოს მთავრობა და არა პირიქით, როგორც ეს დღეს ხდება.

ეკა ბერიძის შეკითხვაზე – „მაინც, რა ძალებით აპირებთ თქვენი მიზნების განხორციელებას“, – ბიძინა ივანიშვილმა უპასუხა, რომ პარტიის ჩამოსაყალიბებლად ძლიერი გუნდი უკვე შექმნილია და, ალბათ, უკანონოდ წართმეულ მოქალაქეობასაც დავიბრუნებო! თუმცაღა, მოქალაქეობის დაბრუნება ჯერჯერობით თუ ვერ მოხერხდა შემუშავებული გვაქვს სხვა პოლიტიკური სვლები, რათა დაწყებული საქმე აუცილებლად ბოლომდე მივიყვანოთო.

**„ჩემი დაპირების შესრულების გარეშე პოლიტიკიდან წამსვლელი არა ვარ. მე დავპირდი ჩემს ხალხს, რომ ამ ქვეყანას უკეთესობისკენ შევცვლით და ამას აუცილებლად გავაკეთებთ. პოლიტიკაშიც სუფთად დავრჩები, ისევე როგორც ბიზნესში. მე უარს ვამბობ ყოველგვარ უკანონობაზე. ასე ვიყავი მუდამ, ასე ვიქნები მომავალშიც“,** — დაბეჯითებით თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

სწორედ ეს პატიოსნება, სამართლიანობა, კანონისადმი მორჩილება გახლავთ ის მთავარი კოზირი, რომელიც ამ სიღარიბესა და სიწმინდეში გაზრდილ „უბრალო“ კაცს, საქართველოს მომავლის იმედად გაჩენილ (გამორჩენილძ ბიძინა ივანიშვილს ყველასგან გამოარჩევს...

დავაკვირდეთ და გულდინჯად გავაანალიზოთ ბიძინა ივანიშვილის ეს წინადადებაც: **„ქვეყანაში აუცილებლად შეიცვლება ის რეალობა, რომელსაც მიხეილ სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმი ჰქვია, რასაც აუცილებლად მოჰყვება სასამართლოს გათავისუფლება ზეწოლისგან, მედიის მთლიანად გათავისუფლება, ბიზნესის გათავისუფლება ტერორისგან და საერთოდ, კონსტიტუციის შეცვლა, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა და, მისმა ხელისუფლებამ საკუთარ ნებასა და სურვილზე მოირგეს“...**

ღმერთმა გისმინოთ, ბატონო ბიძინა.

წესით და რიგით, საქართველოში არც ერთი კაცი არ უნდა დარჩეს (თვით მიხეილ სააკაშვილიც კი!ძ, რომელიც მხარს არ დაგიჭერს.

* * *

***რაც შეეხება ტელეკომპანია „მაესტროს“ ხელმძღვანელებს, მათ კოლეგიურად და მეგობრულად მინდა ვურჩიო: საქართველოს და ქართველი ხალხის მტრების წისქვილზე წყლის მიშვება ერთობ საძრახისი საქციელია!***

სპარტაკ ქოზულია

ზღვარგადასულობა



# რიგითი რაიანი და „დაჩაგრული“ ხუხუა

**ამერიკელი სტივენ სპილბერგის ნიჭნაკლულ ქართველ „კოლეგა“ ნაცმოძრაობელთა უსუსური „რეჟისურა“ და უნიჭო ფარსი, რომელიც ბუმერანგივით მიუბრუნდებათ მათვე**

**ჩვენი მკითხველების უმეტესობას უთუოდ ეხსომება სტივენ სპილბერგის შესანიშნავი ფილმი „გადავარჩინოთ რიგითი რაიანი!“**

**თუ ვინმეს არ უნახავს იგი, მოკლედ შევახსენებ სიუჟეტს: ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკელი რიგითი ჯარისკაცის რაიანის ძმები ამ ომში დაიღუპნენ და რათა მშობლებს ბოლო ვაჟიც არ დაეკარგათ, სარდლობამ გადაწყვიტა, მის მოსაძებნად და ფრონტის წინა ხაზიდან გამოსაყვანად მებრძოლთა სპეციალური ჯგუფი გაეგზავნა, რომლის წევრთაგან ბევრი ამ მისიას შეეწირა.**

მართლაც ძალიან ნიჭიერად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ადამიანურად, დამაჯერებლად და ყველასთვის გულთან მისატან-მისაღებად გადაღებული ფილმია.

რატომღაც სწორედ ამ ფილმის სათაური წამომაგონდა, როდესაც ლამის კაციჭამიად გამოყვანილი ბიძინა ივანიშვილის მიერ დაჩაგრული და უმუშევრად დატოვებული ორი შვილის მამის ზაზა ხუხუას დასაცავად „რუსთავი-2“-ში უბრალოდ გულის ამაჩუყებელი კი არა, სულის ამფორიაქებელ-შემძვრელი სიუჟეტი ვიხილე **(ყოველ შემთხვევაში, სიუჟეტის შემკვეთებსაც და ხორცშემსხმელებსაც მაყურებლებში სწორედ ამგვარი განწყობის შექმნა რომ სურდათ, აშკარად ჩანდა, მაგრამ რამდენად შეძლეს ამის გაკეთება, ეს სხვა ამბავია).**

კიდევ კარგი, წამყვანმა არ დაახანა და ამ აყვავებულ, ყოველმხრივ დალხენილ-დასაქმებული ადამიანებით დასახლებულ საქართველოში უმუშევარ-უსახსროდ დარჩენილი ადამიანის ბედის გაგებით თავზარდაცემულ მაყურებლებს გული გაგვიმაგრა — **ზაზა ხუხუა თბილისის მერმა გიგი უგულავამ მოინახულა და გაამხნევაო!**

**უჰ, აშენდა თქვენი ოჯახი! ძლივს არ ამოვისუნთქე? გულიდან თითქოს ლოდი მომეხსნა — გიგი უგულავა ხომ ოდენ ცარიელ სიტყვასა და გამხნევებას არ დასჯერდება და სადმე უთუოდ დაასაქმებს ბედკრულ ზაზა ხუხუას, მერიის რომელსამე სამსახურში თუ არა, რომელიმე იმ თონესა თუ ბენზინგასამართ სადგურში მაინც, სადაც თავადაც მუშაობდა ქალაქის მერად არჩევის წინ!**

თუმცა რა დროს ხუმრობა თუ ირონიაა. რომ იტყვიან, ორი აგური უნდა გვეჭიროს ხელში ამათ შემხედვარეს.

**ვაი ჩვენს პატრონს, ამ სიუჟეტის და შემკვეთ-მომზადებლებისაც და მაყურებლებისაც!**

**პირველებისა იმიტომ, რომ დღენიადაგ ასეთ უნიჭო „სპექტაკლებს“ დგამენ, მაყურებლებისა კი იმად, რომ ამას დღემდე ითმენენ!**

**რიგითი რაიანისა არ იყოს, ვითომ დაჩაგრული ხუხუას გადასარჩენად რომ დაირაზმეთ, ნაცმოძრაობელებო, მეტნაკლებად დამაჯერებელი ფარსის დადგმა მაინც ვერ ისწავლეთ დღემდე? თუნდაც ისეთისა, თვითონვე ბუმერანგივით რომ არ მოგიბრუნდეთ უკან?**

**ვინ დაიჯერებს, რომ ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ამდენი წელია სრულიად უანგაროდ აცმევს, ახურავს, აჭმევს, ასმევს და ინახავს ამდენ ადამიანს, აფინანსებს ქვეყნისთვის საჭირო ამდენ სასიკეთო საქმეს, რომელთაც მერე ხელისუფლება თავის გაკეთებულად ასაღებს, ულუკმაპუროდ დატოვებდა ორი შვილის ახალგაზრდა მამას?**

**„ცინიზმის გამოხატულება“** — ასე იყო დასათაურებული ამასთან დაკავშირებით პრესაში გამოქვეყნებული ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოს განცხადება.

**„ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო,** — ნათქვამია მასში, — **კატეგორიულად უარყოფს დედაქალაქის მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებას, თითქოს ზაზა ხუხუა „ქართუ ჯგუფიდან“ მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც მასთან სტუმრად დედაქალაქის მერი მივიდა. ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო ადასტურებს, რომ ზაზა ხუხუა „ქართუ ჯგუფში“ შემავალ ასოციაცია „ატუს“ თანამშრომელი იყო და მონაწილეობდა ოპერის თეატრის მშენებლობის პროცესში. ზაზა ხუხუა დაქირავებულ მუშად „ატუში“ 2011 წლის 5 მაისიდან ირიცხება და მას ოქტომბრის თვეში თვიური ანაზღაურება და ნოემბრის თვეში ავანსის სახით 140 ლარი აქვს აღებული. ზაზა ხუხუა სამსახურში თითქმის ერთი თვეა აღარ გამოჩენილა, თუმცა ოფიციალურად კონტრაქტი „ქართუ ჯგუფს“ მასთან არ შეუწყვეტია და ის დღემდე „ატუს“ თანამშრომლად ითვლება“.**

**რომ იტყვიან, სიმართლე თუ გინდათ, ეს არის, ბატონებო!**

ამიტომაც ამგვარი უნიჭო სპექტაკლის დადგმა თქვენგან უკვე მარტო ნიჭნაკლულობა კი არა, თავგასულობა-ზღვარგადასულობაც არის.

რა ვქნა, ვატყობ, ძალიან კი გინდათ სპილბერგის „კოლეგობა“, მაგრამ ის არა გაქვთ, რაც ცხონებულმა მურმან ლებანიძემ „ათქმევინა“ დიდ პოეტს — **„ნიჭი, ძამიკო, ნიჭი, — გალაკტიონმა ბრძანა“.**

**ნიჭიერმა სპილბერგმა თავისი ნიჭიერად გადაღებული ფილმით მაყურებელი რიგითი რაიანის მხარდამჭერ-დამცველად აქცია, თქვენ თქვენივე უნიჭო ფარს-სპექტაკლით კი, რომელიც ვითომ დაჩაგრული ზაზა ხუხუას „გადასარჩენად“ დადგით, ისღა მოახერხეთ, რომ ბუმერანგილა გამოჩორკნეთ, რომელიც უკანვე დაგიბრუნდებათ!**

**...„გიჭირთ ხომ, ძამიკოებო!“** — ამ სიტყვებით მიმართავდა თავის დროზე „ნიანგში“ დაბეჭდილი გიგლა ფირცხალავას შარჟით პოეზიის ოლიმპზე მდგარი გალაკტიონი თავის რამდენიმე „კოლეგას“, ამავე მწვერვალზე ასოცებისთვის რომ ცოდვილობდნენ.

**ცხადია, ხუმრობითაც არ გაგიყადრებთ თავს, თორემ სტივენ სპილბერგისგანაც ასეთ სიტყვებს იმსახურებთ, მისი „კოლეგობის“ მოსურნე ნაცმოძრაობელო „რეჟისორებო“.**

**თქვენ რა გიჭირთ (დღესდღეობით მაინც), მაგრამ თქვენი გამოისობით რიგითი რაიანის დარად ხალხის სიყვარულ-თანაგრძნობის მომპოვებელ გმირად გამიზნული ზაზა ხუხუა კი ნამდვილად მეცოდება!**

**იმავე ხალხის თვალში, ცხადია, თორემ, სხვაგვარად, ამგვარ უნიჭო ფარსში მონაწილეობის მარტო სურვილისთვისაც კი ყველაფრის ღირსია: რაც დათესავ, იმასვე მოიმკი.**

რუსლან რუსია

**გავაკეთოთ თავისუფალი და გააზრებული არჩევანი**

# ერევა და თანაც – როგორ!



## ლიბერტარიანული სახელმწიფო და „ეკონომიკაში ჩაურევლობის“ მითი

ფაშისტური გერმანიის პროპაგანდის მინისტრმა იოზეფ გებელსმა ერთხელ თქვა: „თუ ტყუილს ათასჯერ გავიმეორებთ, იგი სიმართლედ იქცევა“.

რა თქმა უნდა, გებელსმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ტყუილი ვერ იქცევა სიმართლედ რამდენჯერაც არ უნდა გავიმეოროთ იგი, მაგრამ როგორც ნიჭიერი პროპაგანდისტი, გებელსი ხაზს უსვამდა იმას, რომ ადამიანთა დიდ ნაწილს აქვს მიდრეკილება „დაიჯეროს“ (სიმართლედ ჩათვალოს) ტყუილი, თუ მას ხშირად გავუმეორებთ.

პროპაგანდა, როგორც საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის (ან მისი შეცვლის) საშუალება სათავეს კაცობრიობის ცივილიზაციასთან ერთად იღებს. რამდენად ბოროტი გენიაც არ უნდა იყოს გებელსი, მის პროფესიონალიზმში ეჭვის შეტანა ძნელია – ბოლოს და ბოლოს, სწორედ გებელსმა და კიდევ რამდენიმე ფიგურამ, რომლებიც საკუთარ თავს რატომღაც „ნაციონალ-სოციალისტებს“ უწოდებდნენ, მოახერხეს და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცივილიზებული ქვეყანა გიგანტურ საკონცენტრაციო ბანაკად აქციეს. არ ვდავობთ იმაზე, რომ ეს იყო ძალიან ცუდი საქმე, მაგრამ არც იმაზე შეიძლება დავა, რომ ეს ამავე დროს იყო ძალიან ძნელი ამოცანაც (განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ გერმანელების კანონმორჩილ პოლიტიკურ კულტურასძ.

ჰიტლერის რეჟიმი არის ძალიან ნათელი და მკაფიო მაგალითი იმისა, თუ რა შეუძლია პროპაგანდას. იმ პერიოდში გერმანელი ხალხის ნაწილს მართლაც სჯეროდა ამ ადამიანის და არავინ იცის, როდის გამოფხიზლდებოდა იგი ამ ძილისგან (ან გამოფხიზლდებოდა თუ არა საერთოდძ, რომ არა სასტიკი დამარცხება მეორე მსოფლიო ომში.

პროპაგანდის ძირითადი არსია მითის შექმნა და შემდგომ ამ მითის „ათასჯერ“ გამეორება (ანუ მანამ, სანამ იგი „სიმართლედ არ იქცევა“ძ. პროპაგანდას აქვს „ექოს ეფექტიც“ – მაგალითად, საკმარისია, თავდაპირველად პროპაგანდა მიიღოს (დაიჯეროსძ, ვთქვათ ასმა ადამიანმა და ეს ასი ადამიანი ამის შემდეგ უკვე თავისით იწყებს მითის გავრცელებას. ამასთანავე, „ჩვეულებრივი ადამიანისგან“ (ვთქვათ, მეზობლისგანძ მოსმენილ მითს ხშირად გაცილებით დიდი ეფექტი აქვს, ვიდრე პოლიტიკური ლიდერის მიერ წარმოთქმულ სიტყვას ან მედიასაშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას.

იგივე პრინციპით მუშაობს პროპაგანდა ჩვენს ეპოქაშიც.

ამასთანავე, ტექნიკის წინსვლასთნ ერთად, მისი როლი და გავლენა სულ უფრო იზრდება. თუ მეოცე საუკუნემდე პროპაგანდა ძირითადად მაინც ტრიბუნითა და ქაღალდით შემოიფარგლებოდა, დღეს მის „არსენალში“ შედის კინემატოგრაფი, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი და ა.შ.

ყოველივე ამან „მითის შექმნა“, რასაკვირველია, განუზომლად უფრო ადვილი გახადა. მეტიც – გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დღეს ინფორმაცია და ამ ინფორმაციაში ჩადებული მითები საზოგადოების მართვის ერთ-ერთ უმთავრეს ატრიბუტად გადაიქცა.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ მითზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება.

ეს არის ე.წ. ლიბერტარიანული სახელმწიფოს „ეკონომიკაში ჩაურევლობის“ მითი.

ეს საკითხი ჩვენში განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2003 წლის შემდეგ, რადგან სწორედ ვარდების რევოლუცია გახდა ის ათვლის წერტილი, საიდანაც ქართული პროპაგანდისტული მანქანა აქტიურად ამუშავდა „მინიმალისტური სახელმწიფოსა“ და ეკონომიკაში ჩაურევლობის გასამართლებლად.

წინასწარვე ვიტყვი, რომ აქ არ ვაპირებ გავარჩიო, რამდენად სამართლიანია თავისთავად ასეთი სახელმწიფო ან როგორი სახელმწიფო ჯობია ზოგადად – სოციალური თუ ლიბერტარიანული. ჩვენი მიზანია დავადგინოთ, არსებობს თუ არა „ეკონომიკაში ჩაურეველი“ სახელმწიფო საერთოდ და თუ არ არსებობს, მაშინ რატომ გახდა საჭირო მისი გამოგონება.

უფრო მეტიც – კამათს იმის შესახებ, უნდა ჩაერიოს თუ არა სახელმწიფო ეკონომიკაში, აზრი ექნებოდა მხოლოდ მას შემდეგ, თუკი დავადგენდით, რომ არსებობენ სახელმწიფოები, რომლებიც ეკონომიკაში არ ერევიან.

რეალობა კი გვიჩვენებს, რომ ასეთი სახელმწიფო ბუნებაში არ არსებობს (და არც შეიძლება არსებობდესძ.

ამას ძალიან კარგად დავინახავთ კონკრეტულ მაგალითზე. ავიღოთ თუნდაც ჩვენი ქვეყანა. ოფიციალური პროპაგანდა წლების განმავლობაში გვიმტკიცებს, რომ სახელმწიფო ეკონომიკაში არ ერევა, რომ ბაზარი თვითონ არეგულირებს ყველაფერს (მათ შორის დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთობებსძ და ა.შ.

ახლა კი ვნახოთ, რა ხდება სინამდვილეში. ყველას ძალიან კარგად გვახსოვს ქუთაისის მეტალურგიული ქარხნის მუშების გაფიცვა ორიოდე თვის წინ. როგორ უნდა მოქცეულიყო ამ შემთხვევაში სახელმწიფო, რომელიც „ეკონომიკაში არ ერევა“? – ბუნებრივია, იგი არ უნდა ჩარეულიყო დამსაქმებლისა და დასაქმებულის დავაში და როგორც თვითონ ამტკიცებს, ბაზარი თავად დაარეგულირებდა ამ პრობლემას (მით უმეტეს, რომ გაფიცულ მუშებს არ უცდიათ დამსაქმებლის საკუთრების ხელყოფა და არ ჩაუდენიათ სხვა ისეთი საქციელი, რაც პოლიციის ჩარევას ითხოვსძ.

როგორ გადაწყვეტდა ამ პრობლემას ბაზარი?

აქ შეიძლება წამოვიდგინოთ ორი სცენარი. პირველი – დამსაქმებელს არ უღირს ამ მუშების კვალიფიკაცია მათთან დათმობაზე წასვლად, სასწრაფოდ აჰყავს ახალი თანამშრომლები, აგრძელებს მუშაობას, ხოლო გაფიცულ მუშებს ადრე თუ გვიან მოუწევთ სახლებში წასვლა და სხვა გზების ძიება საკუთარი უფლებების დასაცავად.

მეორე – დამსაქმებლისთვის ადვილი არ არის ამ მუშების სწრაფი შეცვლა, ამიტომ იგი მიდის დათმობაზე გაფიცულებთან და აკმაყოფილებს მათს მოთხოვნებს ( მთლიანად, ან ნაწილობრივძ.

მაშასადამე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბაზარს მართლაც შეეძლო პრობლემის გაცილებით ცივილიზებულად გადაწყვეტა (სწორედ ამას საყვედურობენ მთავრობას „ნამდვილი ქართველი ლიბერტარიანელები“ძ.

მაგრამ რა გააკეთა სინამდვილეში სახელმწიფომ?

სახელმწიფომ მიმართა დასჯის ყველაზე უხეშ ფორმას, რაც კი შეიძლება ადამიანს მოეგონებინა იმისთვის, რომ სამაგალითოდ დაეშინებინა გაფიცულები და ამით „კარგი“ მაგალითიც ეჩვენებინა ყველა დაქირავებულსთვის, თუ როგორ მთავრდება ამ ქვეყანაში „ინვესტორთან“ საკუთარ უფლებებზე „ზედმეტი“ ლაპარაკი.

ქართველი ლიბერალების ნაწილს, რომლებიც დღევანდელ რეჟიმს „მარჯვნიდან“ აკრიტიკებენ, არ ესმით სახელმწიფოს ასეთი საქციელი და ამაში „საბჭოთა ტოტალიტარიზმის გადმონაშთებს“ ხედავენ (უფრო სწორად, უნდათ რომ დაინახონძ. არადა მათ არ შეიძლება არ იცოდნენ ჩვენს მიერ ზემოთ უკვე ნახსენები მარტივი ჭეშმარიტება – ***ბუნებაში არ არსებობს სახელმწიფო, რომელიც ეკონომიკაში არ ერევა!***

სინამდვილეში სახელმწიფო ყოველთვის და ყველგან ერევა ეკონომიკაში (უფრო მეტიც – იგი განსაზღვრავს ეკონომიკის სახესძ. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმაზე, თუ *ვის სასარგებლოდ* ერევა იგი ამ სფეროში და რა არის ამ ჩარევის *მიზანი*.

იგივე ქუთაისის მაგალითი: მაშინ, როცა ინვესტორმა სამსახურიდან გამოყარა (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით – გამოყარა!ძ დასაქმებულები პროფკავშირში გაწევრებისთვის, სახელმწიფო ნამდვილად არ *ჩარეულა* ეკონომიკაში – (მან ეს საკითხი „ბაზარს მიანდო“ძ, მაგრამ როგორც კი თვით ინვესტორს შეექმნა დისკომფორტი გაფიცვის სახით, სახელმწიფო არათუ ჩაერია, არამედ მის ხელთ არსებული მთელი არსენალიც კი გამოიყენა გაფიცულების „ჭკუაზე მოსაყვანად“.

რა გამომდინარეობს აქედან?

აქედან გამომდინარეობს, რომ ლიბერტარიანული სახელმწიფო ეკონომიკაში არ ერევა მაშინ, როცა დასაცველია მუშის, დასაქმებულის (თუ განვაზოგადებთ – არაპრივილეგირებული ფენისძ ინტერესები და დიდი ხალისითა და ენერგიით ერევა მაშინ, როცა დასაცველი ხდება ინვესტორის (და აქაც თუ განვაზოგადებთ – პრივილეგირებული ფენისძ ინტერესები.

და ეს არ არის მოლოდ ქართული სახელმწიფოს „თავისებურება“, როგორც ხშირად გვესმის მემარჯვენე კრიტიკოსებისგან.

ეს არც საბჭოთა გადმონაშთია.

ეს არის ლიბერტარიანული წესრიგის განუყოფელი და ერთ-ერთი უმთავრესი თვისება.

სხვათა შორის, ხელისუფლებას არც დაუმალავს საკუთარი მოტივაცია: ქუთაისის მოვლენების შემდეგ ოფიციალური პირები სახელმწიფოს ამგვარ ქმედებას „ინვესტორისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნით“ ამართლებდნენ და ეს ძალიან ყურადსაღები ფაქტია.

იმ კრიტიკულ დღეებში მიკიბულ-მოკიბული რიტორიკა მცირე ხნით შიშველმა სიმართლემ შეცვალა – სახელმწიფომ ღიად გამოაცხადა, თუ ვისი ინტერესებია მისთვის მთავარი და ვის სასარგებლოდ ერევა იგი ეკონომიკაში.

მაგრამ სიმართლის ასეთი „გაშიშვლება“ შესაძლებელია მხოლოდ დროის მცირე, კრიტიკულ მონაკვეთებში.

გრძელვადიან პერსპექტივაში ასეთი სიმართლის მუდმივი „გამოცხადება“ მოსახლეობისთვის ძალიან არაპოპულარული იქნებოდა ნებისმიერი რეჟიმისთვის.

აი სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ეკონომიკაში ჩაურეველი სახელმწიფოს გამოგონება.

უნდა ვაღიაროთ – ეს მითი მართლაც „ჭკვიანურადაა მოფიქრებული“: ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ლიბერტარიანული სახელმწიფო მართლაც ქმნის „ეკონომიკაში ჩაურევლობის“ ილუზიას.

ასე, მაგალითად: სახელმწიფო პასუხისმგებლობას იხსნის დასაქმებაზე („სახელმწიფო დასაქმების ბიურო არ არის“ძ სოციალურ შემწეობებზე („სახელმწიფო მამა–მარჩენალი არ არის“ძ და ა.შ.

მაგრამ სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში მოიცავს არა მხოლოდ პასუხისმგებლობებს, არამედ უფლებებსაც და ამ უფლებებს ნებისმიერი სახელმწიფო ახორციელებს.

მაგალითად – სახელმწიფო ადგენს შრომის კოდექსს, სახელმწიფო განსაზღვრავს მინიმალური ხელფასის ოდენობას (ან არ განსაზღვრავს მას – ესეც პოზიციააძ, სახელმწიფო იმუშავებს საბაჟო და საგადასახადო პოლიტიკას, სახელმწიფო ანაწილებს ქვეყნის ბიუჯეტს (შესაბამისად, განსაზღვრავს პრიორიტეტებსაცძ, სახელმწიფო აწესრიგებს დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთობას დავის წარმოშობის შემთხვევაში და ა.შ.

ყოველივე ამის შემდეგ ვის შეუძლია თქვას, რომ სახელმწიფო ეკონომიკაში „არ ერევა“?

თეორიულად, თავისუფალი ბაზარი და თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობები შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მხოლოდ „ანარქო-კაპიტალისტურ“ საზოგადოებაში (თუმცა ასეთი საზოგადოება ჯერ არსად დამყარებულა და ამიტომ მასზე მხოლოდ ჰიპოთეზის კონტექსტში შეგვიძლია ვილაპარაკოთძ. ასეთ ჰიპოთეკურ საზოგადოებაში ეკონომიკა თავისუფალი უნდა იყოს ჩარევისგან ზუსტად იმიტომ, რომ არ უნდა არსებობდეს ცენტრალური ხელისუფლება, პოლიცია, საგადასახადო სამსახური, ნაციონალური ბიუჯეტი, კონსტიტუცია, შრომის კოდექსი და ა.შ.

ერთი სიტყვით, სახელმწიფოსგან თავისუფალი ეკონომიკა არსებობს იქ და მხოლოდ იქ, სადაც არ არსებობს სახელმწიფო, როგორც ასეთი! რეალურად სახელმწიფო წყვეტს არსებობას, როცა იგი წყვეტს ჩარევას ეკონომიკაში.

ლიბერტარიანული სახელმწიფო ამ მიმართულებით ნამდვილად არ მოძრაობს.

პირიქით – ლიბერტარიანული სახელმწიფო ხასიათდება კარგად ორგანიზებული სახელმწიფო აპარატით, მტკიცე, კონსოლიდირებული ძალოვანი სტრუქტურებით და „საათივით აწყობილი“ ბიუროკრატიით.

როგორც ვხედავთ, ეს მოდელი ახლოსაც კი არ დგას ანარქისტულ საზოგადოებასთან

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ როგორ და ვის სასარგებლოდ ერევა ეს სახელმწიფო ეკონომიკაში გარეგნული „ნეიტრალიტეტის“ ფონზე?

როგორც უკვე ვთქვით, სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში, უწინარეს ყოვლისა, ვლინდება ამ სახელმწიფოს კანონმდებლობაში. სწორედ აქ „იმალება“ მთელი საიდუმლოც.

ლიბერტარიანულ სახელმწიფოს მთელი ფინანსური, შრომითი და სამეწარმეო რეგულაციები მორგებული აქვს მცირერიცხოვანი პრივილეგირებული ფენისთვის. შესაბამისად, ამ ფენის ინტერესების გატარება რეალურ ცხოვრებაში უკვე ფორმდება არა როგორც ეკონომიკაში ჩარევა, არამედ როგორც კანონისა და სამართლიანობის დაცვა (ან „დამყარება“ძ.

მაგალითად, სახელმწიფოს შეუძლია დაამტკიცოს კანონი, რომლის თანახმადაც დამსაქმებელს უფლება ექნება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ნებისმიერ მომენტში დაითხოვოს სამსახურიდან დაქირავებული, ხოლო თვითონ დაქირავებულმა, თუ იგი სამსახურიდან წასვლას მოისურვებს, ერთი თვით ადრე უნდა აცნობოს დამქირავებელს (წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაჯარიმდებაძ.

იცავს თუ არა ამ შემთხვევაში სახელმწიფო გამოკვეთილად ერთ-ერთი მხარის ინტერესებს?

მხოლოდ ძალიან მიკერძოებულ ადამიანს შეუძლია განაცხადოს, რომ არ იცავს.

რა თქმა უნდა, ასეთი კანონების შემდეგ სახელმწიფოს ნამდვილად არ ჭირდება ეკონომიკაში ყოველდღიური პირდაპირი ჩარევა – ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანი და არსებითია, უკვე განსაზღვრულია კანონით, რომლის დაცვაზე უკვე ძალოვანი სტრუქტურები და სასამართლო ზრუნავენ.

**ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლიბერტარიანული სახელმწიფოს „არჩარევა“ ეკონომიკაში გულისხმობს, ერთ მხრივ, არაპრივილეგირებული ფენების მიმართ პასუხისმგებლობების მოხსნას, ხოლო, მეორე მხრივ, კანონმდებლობის მაქსიმალურ მორგებას პრივილეგირებულ უმცირესობაზე, რის შემდეგაც იგი საერთოდ „ჩრდილში გადის“ და მხოლოდ მაშინ ავლენს საკუთარ ბუნებას, როცა ვინმეს ამ უსამართლო სამართლისა და უკანონო კანონების მიმართ თუნდაც მცირე პროტესტი გაუჩნდება.**

აი ეს არის სინამდვილეში ლიბერტარიანული სახელმწიფო.

თანამედროვე ფინანსური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისები ძალიან კარგად გვიჩვენებს იმას, თუ საით მიჰყავს საზოგადოება ამგვარ „ჩაურევლობას“. ამიტომ, ჩემი აზრით, მომავალში მაინც მოგვიწევს სერიოზული ფიქრი იმაზე, თუ რამდენად მისაღებია ასეთი სახელმწიფო ჩვენთვის ან როგორი სახელმწიფო გვჭირდება საერთოდ.

მაგრამ სანამ ამაზე ვიფიქრებდეთ, მანამ აუცილებელია გამოვიდეთ „ეკონომიკაში ჩაურევლობისა“ და სხვა მითების ტყვეობიდან, დავარქვათ ყველაფერს საკუთარი სახელი და მხოლოდ ეს მოგვცემს საშუალებას, გავაკეთოთ თავისუფალი და გააზრებული არჩევანი.

**ზვიად ავალიანი**

ღვაწლი

# ქართული ენის თავგამოდებული ებგური

## აკადემიკოსი შოთა ძიძიგური – 100



**გამოჩენილი** ქართველი მეცნიერი, ცნობილი ენათმეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე **შოთა ძიძიგური** მიმდინარე წელს 100 წლის გახდებოდა.

აკადემიკოსი შოთა ძიძიგური მრავალმხრივი და ნაყოფიერი მკვლევარი გახლდათ, რომლის ფუნდამენტური ნაშრომები მიძღვნილია ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის, დიალექტოლოგიის, მწერლის ენისა და სტილის, ლექსიკოლოგიური პრობლემების შესწავლისადმი. ბატონ შოთას სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული ქართულ მწერლობასთან და თვითონაც ქართველ მწერალთა ოჯახის წევრი ბრძანდებოდა.

გამოჩენილი პედაგოგის ვარლამ ძიძიგურის ვაჟი თავიდანვე შემოქმედებით ატმოსფეროში ტრიალებდა და ბავშვობაში ლექსებსაც წერდა. შოთა ძიძიგურის პირველი ლექსი „მუშას“ 1922 წელს ერთდროულ გაზეთ „ოქტომბერში“ გამოქვეყნდა. შემდეგ მისი ლექსები განათლების სახალხო კომისარიატის გაზეთ „მოწაფის ხმაში“ იბეჭდებოდა.

1930 წელს შოთა ძიძიგურმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო დარგი. 1931 წლის იანვარში პროფესორმა აკაკი შანიძემ თხოვნით მიმართა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, რათა შოთა ძიძიგური დაეტოვებინათ ქართული ენის კათედრაზე ასპირანტად.

ვინაიდან უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩარიცხვა შეფერხდა, 1931 წელს შოთა ძიძიგურმა მუშაობა დაიწყო ახლად დაარსებულ გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში ლიტერატურული რედაქტორის თანამდებობაზე, აქვე იბეჭდებოდა მისი წერილები სხვადასხვა საკითხზე. პარალელურად მუშაობდა (შტატგარეშედ) საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ინსტიტუტში.

1931 წლის სექტემბერში შოთა ძიძიგური გაგზავნეს ლენინგრადში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში გამოცდების ჩასაბარებლად. ასპირანტურაში მიღების დღიდან მისი ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი ნიკო მარი.

აღსანიშნავია, რომ ქართველი ასპირანტები ინსტიტუტებში სპეციალური მოხსენებებით გამოსვლის გარდა, მონაწილეობას ღებულობდნენ სამეცნიერო ექსპედიციებში. სამხრეთ საქართველოში და მთიულეთ-გუდამაყარში ჩაწერილი დიალექტოლოგიური მასალები შოთა ძიძიგურმა გამოაქვეყნა წიგნებში: „ქართული დიალექტოლოგიის ქრესტომათია ლექსიკონითურთ“ (1956 წ.ძ, „ქართული დიალექტოლოგიის მასალები“ (1974 წ.ძ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ზოგიერთ ასპირანტს პარალელურად ლექციების წაკითხვის უფლებაც ჰქონდათ.

ლენინგრადში ასპირანტურის კურსის გავლის შემდეგ, შოთა ძიძიგურმა 1935 წელს იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული დიალექტების კლასიფიკაციის ცდა“. დისერტანტის ოფიციალური ოპონენტები იყვნენ: აკადემიკოსი ი.მეშჩანინოვი, პროფესორი კ.დონდუა, პროფესორი ა.შანიძე (მან დაცვის დღეს ჩამოსვლა ვერ მოახერხა და მისი რეცენზია წაიკითხესძ.

1936 წლის გაზაფხულზე ლენინგრადში ჩავიდა პროფესორი ა.შანიძე (ამ დროს თბილისში ჩამოყალიბდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალიძ, რომელმაც წინადადებით მიმართა შოთა ძიძიგურს ჩამოსულიყო თბილისში და მუშაობა დაეწყო ფილიალის ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში. ეს საკითხი აკაკი შანიძემ შეუთანხმა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მუდმივ მდივანს აკადემიკოს ვ.ვოლგინს. 1936 წლის ოქტომბერში ახალგაზრდა მეცნიერი შოთა ძიძიგური თბილისში ბრუნდება. იგი იწყებს მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (დოცენტადძ და საქართველოს ფილიალის აღნიშნული ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში.

1938 წელს კომკავშირის ცეკამ გამოაცხადა ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა ნაშრომების კონკურსი, რომელშიც შოთა ძიძიგურმა მიიღო მონაწილეობა და მისმა ნაშრომმა: „რაჭული დიალექტოლოგიური ლექსიკონის მასალები“ პირველი პრემია დაიმსახურა.

ამავე წელს ბატონი შოთა აირჩიეს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგედ. სალექციო მუშაობას იგი ეწეოდა აგრეთვე თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტში, შემდეგ თელავის ი.გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (კითხულობდა ენათმეცნიერების შესავალს, ქართულ დიალექტოლოგიას, ქართულ ენასძ. ერთხანს თბილისის თეატრალურ ინსტიტუტშიც კითხულობდა მეტყველების კულტურის კურსსა და ძველი ქართული ენის კურსს.

1947 წელს შოთა ძიძიგური სამუშაოდ გადაჰყავთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში და ნიშნავენ სამეცნიერო პროპაგანდის განყოფილების გამგედ. ამ განყოფილებას ევალებოდა აკადემიის სამეცნიერო გეგმების კოორდინაცია და აკადემიის მეცნიერული მიღწევების პროპაგანდა უმთავრესად პრესის საშუალებით. ამ თანამდებობაზე ბატონი შოთა 1950 წლამდე მუშაობდა.

1952 წელს შოთა ძიძიგურს ირჩევენ ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგედ, ხოლო 1954-1957 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ენების კათედრის გამგედ. 1962 წელს იგი აირჩიეს ა.პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგედ. 1962 წელს ბატონი შოთა მიიღეს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად.

1962 წელს შოთა ძიძიგურმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „კავშირები ქართულ ენაში“ და 1963 წლის იანვარში მას მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ამავე წლის სექტემბერში – პროფესორის წოდება.

1966 წელს ბატონი შოთა აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის გამგედ, რომელიც მისი ხელმძღვანელობით სულ მალე გადაიქცა ქართველოლოგიური კვლევა-ძიების ერთ-ერთ მძლავრ ცენტრად.

1967 წელს შოთა ძიძიგური არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს – აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსადძ.

1974 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება გაიყო – საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებად და ენისა და ლიტერატურის განყოფილებად. ახლად დაარსებული ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად და აკადემიის პრეზიდიუმის წევრად ამავე წელს არჩეულ იქნა აკადემიკოსი შოთა ძიძიგური.

შოთა ძიძიგურის კალამს ეკუთვნის 130-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომი, მათ შორის 25 მონოგრაფია. ზოგიერთი ამ ნაშრომებიდან გამოცემულია გერმანიასა და საფრანგეთში, რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

შოთა ძიძიგურის მეცნიერული ინტერესების სფერო ფართოა და მოიცავს ქართული ენის ისტორიას, დიალექტოლოგიას, ლექსიკოლოგიას, ტოპონიმიკას, ფოკლორისტიკას.

შოთა ძიძიგურმა მონოგრაფიულად შეისწავლა კავშირები და საკავშირებელი სიტყვები ქართულ ენაში და გამოსცა ფუნდამენტური წიგნი „კავშირები ქართულ ენაში“ (1959, 1973 წ.ძ. აკადემიკოსი ა.შანიძე წერდა: ...აკადემიკოს თ. გამყრელიძის აზრით, „ეს ნაშრომი შესანიშნავად ეხმაურება თანამედროვე თეორიულ ენათმეცნიერებაში სინტაქსურ-სემანტიკური პრობლემატიკისადმი გაზრდილ ინტერესს“.

დიდია შოთა ძიძიგურის წვლილი ქართულ დიალექტოლოგიაში. ათეული წლების მანძილზე მკვლევარი აგროვებდა ტექსტებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ამ გზით დააგროვა დიდძალი დიალექტოლოგიური მასალა, რომლის საფუძველზე პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში მის მიერ გაშუქებულ იქნა მთელი რიგი კილოების სტრუქტურა. შოთა ძიძიგურმა გამოაქვეყნა გამოკვლევები რაჭულის, მესხურის, იმერულის, ლეჩხუმურის, აჭარულის და სხვა კილოების შესახებ, რაც პირველი ცდა იყო ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისა და ბიბლიოგრაფიისა (1936 წ.ძ. მასვე ეკუთვნის ნაშრომები ქართული ისტორიული დიალექტოლოგიიდან, კერძოდ, დასავლური კილოების დახასიათება დასავლეთ საქართველოს ისტორიული საბუთების მიხედვით.

1954 წელს შოთა ძიძიგურმა გამოაქვეყნა წიგნი „ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან“. ეს იყო კრებული მისი ცალკეული გამოკვლევებისა, რომელიც განათლების სამინისტროს მიერ მიღებული იყო დამხმარე სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლებისათვის ქართულ დიალექტოლოგიაში. მანვე გამოსცა ვრცელი წიგნი „ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ“ (1956 წ.ძ, რომელშიც უმთავრესად წარმოდგენილი იყო ავტორისავე მიერ სხვადასხვა დროს შეკრებილი დიალექტოლოგიური მასალა. ეს წიგნიც დამტკიცებულ იქნა როგორც დამხმარე სახელმძღვანელო. მკვლევარმა წონადი წვლილი შეიტანა ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკონების შედგენაში.

მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო შოთა ძიძიგურმა ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესების შესწავლისას, მის ნაშრომში „ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებში და ზანურში“, რომელიც 1946 წელს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ პირველ ტომში დაიბეჭდა.

ბატონი შოთა ძიძიგური ქართული ენის შესანიშნავი მცოდნე და დაუცხრომელი მკვლევარი გახლდათ. მის ნაშრომში „ქართული ენა“ განხილულია მთელი რიგი საინტერესო საკითხები: ქართული ენის კულტურულ-ისტორიული და მეცნიერული მნიშვნელობა, ქართული ენის წარმოშობის პრობლემა, ქართული სალიტერატურო ენის ძეგლები, ქართული ენის კონტაქტები სხვა ენებთან და სხვ. წიგნი დაიბეჭდა რუსულ (1968 წ.ძ, ქართულ (1969 წ.ძ, ინგლისურ (1969 წ.ძ, ფრანგულ (1970 წ.ძ და გერმანულ ენებზე (1973 წ.ძ.

შოთა ძიძიგურის საკვლევაძიებო თემატიკაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი მწერლის ენისა და სტილის საკითხებს უკავია. მკვლევარის ნაშრომები, რომლებიც მიძღვნილია მწერლის ენის საკითხებისადმი, თავმოყრილია წიგნში „ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ 1971 წელს გამოსცაძ. აქ განხილულია, სახელდობრ, შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის ენობრივი მემკვიდრეობის საკითხები, სადაც მეცნიერს განხილული აქვს სწორედ იმ მწერალთა ენა, რომლებმაც ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მაგისტრალური გზები განსაზღვრეს მეთორმეტედან მეოცე საუკუნემდე. ცნობილ ენათმეცნიერთა აზრით, ამ წიგნს ქართველ კლასიკოსთა ენით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

გარდა კლასიკოსების ენის ანალიზისა, მკვლევარმა საინტერესო დაკვირვებანი ჩაატარა თანამედროვე ქართველ მწერალთა ენაზე, სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია წერილები: „ახალი სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისათვის“, „დრამატული ნაწარმოების ენა“, „თავაზიანი მიმართვის ფორმები ქართულში“, „ირიბი მეტყველების დასაცავად“ და სხვ.

მასვე ეკუთვნის საყურადღებო გამოკვლევა ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ისტორიიდან, სადაც განხილულია XIX საუკუნის ქართველ მწერალთა და მეცნიერთა შეხედულებანი ასეთ საკითხებზე.

ბატონმა შოთამ პირველმა მიაქცია ყურადღება ნართული ეპოსის კვალს ქართულ ფოლკლორში და ჯერ კიდევ 1944 წელს ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, ხოლო 1971 წელს რუსულ ენაზე ცალკე წიგნად გამოიცა შემაჯამებელი ნაშრომი ამ თემაზე – „Грузинские варианты нартского эпоса“.

შოთა ძიძიგურს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკონების შედგენაში. ცნობილია მისი ვრცელი ნაშრომი „ალ.ყაზბეგის ლექსიკონი“, რომელიც 1947-1958 წლებში გამოქვეყნებულ ალ.ყაზბეგის ნაწარმოებთა აკადემიური გამოცემის ოთხტომეულს დაერთო.

შოთა ძიძიგურის კალამს ეკუთვნის ცალკეული წერილები სალიტერატურო ენის ნორმების შესახებ და პოპულარული ხასიათის ნაშრომები, სადაც ნათელი და გასაგები ენით დალაგებულია ლინგვისტიკის თეორიული საკითხები. ამგვარი ხასიათის წერილები თავმოყრილია მის წიგნში „საენათმეცნიერო საუბრები“ (1963 წ.ძ, რომელმაც მოწონება დაიმსახურა მკითხველთა ფართო წრეებში.

შოთა ძიძიგურმა რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა ბასკური და კავკასიური ენების ურთიერთობის პრობლემას, რომელიც დიდი ხანია ცხოველ ინტერესს იწვევს. მისი პირველი წერილი ამ თემაზე „საქართველო და ესპანეთის იბერია“ დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ 1937 წელს, ორმოცი წლის შემდეგ, 1977 წლის ივლისში, მკვლევარს პირველად მიეცა შესაძლებლობა მოხვედრილიყო ბასკეთში როგორც საბჭოთა მცირერიცხოვანი დელეგაციის მეთაური. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გადმოცემულია წიგნში „მოგზაურობა ბასკეთში“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიკოსი შოთა ძიძიგური არის ქართული ენათმეცნიერების მონაპოვართა დაუცხრომელი პროპაგანდისტი. მის კალამს ეკუთვნის ფართო ერუდიციითა და ამავე დროს მიმზიდველად დაწერილი მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომები: „დამწერლობის წარმოშობა და განვითარება“ (1958 წ.ძ, „საენათმეცნიერო საუბრები“ (1960 წ.ძ, „ქართული ენის თავგადასავალი“ (1969 წ., 1973 წ.ძ. აქვე აღსანიშნავია მონოგრაფიები ჩვენს გამოჩენილ მეცნიერებზე – ნიკო მარზე, აკაკი შანიძეზე, გიორგი ახვლედიანზე.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ბატონ შოთას ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდაში. მისი ხელმძღვანელობით 30-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი აღიზარდა, რომელთა შორის ბევრი ცნობილი მეცნიერი გახდა.

მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად შოთა ძიძიგური ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა როგორც სხვადასხვა პერიოდული სამეცნიერო ორგანოების მთავარი რედაქტორი და რედაქტორის მოადგილე, უმაღლესი განათლების სამინისტროს ქართული ენის სექციის თავმჯდომარე, უნივერსიტეტის საენათმეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომიტეტის წევრი, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის სარედაქციო კოლეგიისა და ქართული ენციკლოპედიის სალიტერატურო კონტროლის რედაქციის წევრი, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საქართველოს განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი და სხვ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ქართული ენათმეცნიერების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის შოთა ძიძიგური ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დააჯილდოვა.

ბატონი შოთა შესანიშნავი პიროვნება გახლდათ. იგი მუდამ ხალისიანი, ენერგიით სავსე და ახალი საქმის წამომწყები ადამიანი ბრძანდებოდა. მასთან ნებისმიერ თემაზე საუბარი ყოველთვის საინტერესო და სასიამოვნო იყო...

გულღია, კეთილი, კაცთმოყვარე, ჭეშმარიტი ქართველი და საამაყო მამულიშვილი, ქართული ენის გამოჩენილი მკვლევარი და ამ ენის მონაპოვართა დაუცხრომელი პროპაგანდისტი – ასეთს იცნობდნენ აკადემიკოს შოთა ძიძიგურს მისი კოლეგები, მოწაფეები, ქართველი ხალხი.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# შეაჩერეთ დებილები!

**ადრე მე, ისევე როგორც ჩვენი დიდი ქვეყნის ბევრი მოქალაქე, მიამიტობად მივიჩნევდი, რომ ჩვენ გვმართავენ არამზადები.**

თავად ამ ფაქტში არაფერია განსაკუთრებით გასაოცარი. არამზადები არამზადები არიან. არამზადები არიან ხელისუფლებაში ბევრ ქვეყანაში. არის აზრიც კი, რომ იმისთვის, რათა მიაღწიო უმაღლეს მწვერვალს, უბრალოდ, საჭიროა იყო უმაღლესი ხარისხის არამზადა. ყველა დანარჩენი ნადგურდება ბუნებრივი შერჩევით.

მაგრამ არჩევნებმა სამხრეთ ოსეთში ჩვენ სიმართლე წარმოგვიჩინა: ხალხი, ვინც პასუხს აგებს ჩვენში საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებაზე, არა იმდენად არამზადები, რამდენადაც დებილები არიან. ეს კი უკვე საშინელებაა. ვინაიდან არც ერთ სოლიდურ სახელმწიფოში დებილებს ქვეყნის მართვის ბერკეტებთან არ უშვებენ. ეს სახიფათოა თვით ქვეყნის არსებობისთვის.

დღეს სამხრეთ ოსეთში სწრაფად იზრდება ანტირუსული განწყობილება, რომელიც აქ არასოდეს ყოფილა. მაშინაც კი, როდესაც, მოსკოვის ბრძანებით, ერთ, არცთუ შესანიშნავ ღამით, ცხინვალი დატოვა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანმა ჯარებმა, დატოვა ოსები გამსახურდიას ფაშისტების საჯიჯგნად. ამ ეფექტისთვის რომ მიგეღწია, ძალიან უნდა გეცადა.

დღეს სამხრეთ ოსეთში საუბრობენ, რომ არ მისცემენ არც ერთ ხმას „ედინნაია როსიას" რუსეთის არჩევნებში.

სამხრეთ ოსეთში დღეს ოფიციანტები კაფეში, ტაქსისტები, მილიციონერები ქუჩებში, უნივერსიტეტის მასწავლებლები, სასტუმროს მომსახურეები, სტუდენტები მეკითხებოდნენ: „რატომართმევენ ხალხს არჩევნების უფლებას? რატომ უშვებს ამას მოსკოვი?"

აქ ჯერ კიდევ სჯერათ მოსკოვისა, ალა ჯიოევაც კი, ვისაც რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ ჩამოართვა მისი კანონიერი გამარჯვება, ამბობს, რომ რუსეთის ფედერაციის პირველი პირები, უბრალოდ, შეიყვანეს შეცდომაში საშუალო რგოლის არაკეთილსინდისიერმა ჩინოვნიკებმა. რომ პუტინამდე და მედვედევამდე ვერ მიდის სიმართლე.

ამ დროს კოკოითის გარემოცვა ავრცელებს ხმებს, რომ მოსკოვი მზად არის, შემოიყვანოს ჯარები რესპუბლიკაში წესრიგის დასამყარებლად.



სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტის არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატი ალა ჯიოევა ესაუბრება თავის მომხრეებს

უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით არჩევნების შედეგების გაუქმების შესახებ (ამბობენ, რომ პატიოსანმა მოსამართლეებმა უარი თქვეს, მონაწილეობა მიიღონ ამ სამარცხვინო სხდომაში) დღეს აღშფოთებული არიან არა მხოლოდ ალა ჯიოევას მომხრეები, არამედ ისინიც, ვინც სხვა კანდიდატებს უჭერდნენ მხარს. ხალხი ბიბილოვის შტაბიდანაც კი მეუბნებოდა, რომ მეტოქის პატიოსანი გამარჯვება უნდა აღიარო.

მე პირადად ეჭვიც არ მეპარება, რომ ალა ჯიოევას გამარჯვება იყო პატიოსანი. იმიტომ, რომ მის წინააღმდეგ მუშაობდა მთელი ადმინისტრაციული რესურსი.

მაინც რა მოხდა სამხრეთ ოსეთში? ეს რომ გაიგო, საკმარისია იმოგზაურო ცხინვალის უზარმაზარი ორმოებით გადათხრილ ქუჩებში. ეს არის ის „პოლე ჩუდესი", სადაც ჩაფლულია ჩვენი და თქვენი ფული – გადასახადების რუსი გადამხდელების ფული, რომელიც გაეგზავნა მოძმე ხალხს სამხრეთ ოსეთში. რა საჭირო იყო გადაეთხარათ მთელი ქალაქი და არა, დაეწყოთ კომუნიკაციების რემონტი კვარტალების მიხედვით? იმიტომ, რომ მიეცათ იჯარები „თავისიანებისთვის" და ყველაფერი დანარჩენი მიეთვისებინათ. ამას თქვენ ცხინვალში ნებისმიერი მოსწავლე აგიხსნით.

რუსეთის დახმარების გატაცების ქურდული არტელი, რასაკვირველია, ვერ იარსებებდა საიმედო დაცვის გარეშე მოსკოვში. სქემა ასეთია: რესპუბლიკაში შემოსული ყოველი მილიარდიდან რამდენიმე მილიონი უნდა დაბრუნდეს უკან. და მოხვდეს სათანადო პირების ჯიბეებში. თავად კოკოითი აღარ აძლევს ხელს მოსკოვს, ვინაიდან მას არ მისცეს ნება, დარჩენილიყო მესამე ვადით და არ მისცეს საშუალება, გაეყვანა თავისი მემკვიდრე (გენერალური პროკურორი ხუგაევიძ. კრემლის ადმინისტრაციის კავკასიის მიმართულების კურატორმა ჩინოვნიკებმა (ასახელებენ ვინმე ბატონ გასუნიანოვსძ თავისი არჩევნები შეაჩერეს საგანგებო სიტუაციათა თავმდაბალ მინისტრ ანატოლი ბიბილოვზე.

ბევრი ექსპერტი, რომლებიც კარგად ერკვევიან სიტუაციაში, გვაფრთხილებდა, რომ ბიბილოვი – „არ არის გამსვლელი": ის არ არის პოპულარული რესპუბლიკაში და მყარად ასოცირდება კოკოითის რეჟიმთან. ამ დროს სამხრეთოსეთელთა შორის არის პრეზიდენტის პოსტის ბევრი ღირსეული კანდიდატი, რომლებიც ხელსაყრელი იქნებოდა მოსკოვისთვისაც და სამხრეთი ოსეთის ხალხისთვისაც. რატომ არის, რომ, მიუხედავად ამისა, რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაცია უგუნური სიჯიუტით უჭერდა მხარს სწორედ ბიბილოვს – ეს ამ ისტორიაში ყველაზე დიდი გამოცანაა. ალბათ, იმიტომ, რომ ის იძლეოდა გარანტიას რესპუბლიკისთვის გამოყოფილი სახსრების შემდგომ „სწორ" ათვისებაზე. სხვა განმარტებას მე ვერ ვხედავ.

ბიბილოვის „ჩავარდნა" თავდაპირველადვე იყო დაგეგმილი. აქ საქმე ალა ჯიოევას როდი შეეხება. ოსები ხმას მისცემდნენ ვინც გინდა ყოფილიყო, თუ ის გავიდოდა მეორე ტურში ბიბილოვთან წილში. მაგრამ როცა მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, მოსკოვს კიდევ რჩებოდა შანსი, შეენარჩუნებინა თავისი სახე. საჭირო იყო, უბრალოდ, მიელოცა გამარჯვებული კანდიდატისთვის გამარჯვება და ემუშავა მასთან ერთად, როგორც ეს იყო აფხაზეთში ბაღაფშთან დაკავშირებით.

დღეს სამხრეთ ოსეთში შეიძლება სისხლი დაიღვაროს, ვინაიდან ხალხს არ სურს გასცეს თავისი გამარჯვება. და ეს სისხლი დაეწერება არა მხოლოდ კოკოითსა და მის გუნდს, არამედ კრემლსაც, ვინაიდან პატური სიტუაცია შეიქმნა უწინარეს ყოვლისა მისი ნაჯახისებური მოქმედებით. მაგრამ ჯერჯერობით გამოუსწორებელი რამ არ მომხდარა. ჯერ კიდევ არ არის გვიან, შევაჩეროთ ჩვენი დებილები.

Московский Комсомолец

# ისევ ვერ აირჩიეს

**სამხრეთი ოსეთის უმაღლესმა სასამართლომ 29 ნოემბერს გააუქმა პრეზიდენტის არჩევნების შედეგები, რომლებიც, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, დამთავრდა ოპოზიციის კანდიდატის ალა ჯიოევას დამაჯერებელი გამარჯვებით, ვინაც გაუსწრო კრემლის მხარდაჭერილ ანატოლი ბიბილოვს. „სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგები შეიძლება აღმოჩნდეს სრულიად გაუთვრებელი, განაცხადა სამხრეთი ოსეთის თავდაცვის ექს-მინისტრმა ანატოლი ბარანკევიჩმა. – შეიძლება სისხლიც კი დაიღვაროს".**

რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სხდომა პარტია „ედინსტვოს" საჩივრით ამომრჩეველთა მოსყიდვის შესახებ საარჩევნო უბნებზე და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებზე ზემოქმედების გამო უნდა დაწყებულიყო 29 ნოემბერს დილის 9 საათზე, მაგრამ მოსამართლეებმა მუშაობა დაიწყეს მხოლოდ შუადღისას – ცხინვალში გავრცელდა ხმები, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ეთათბირება მოსკოვს. ჟურნალისტები სასამართლო სხდომაზე არ დაუშვეს. მოსმენაში მონაწილეობდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და პარტია „ედინსტვოს" წარმომადგენლები. ოპოზიციური კანდიდატის ალა ჯიოევას შტაბის წარმომადგენლები უარს აცხადებდნენ სასამართლოს სხდომაზე დასწრებაზე, ისინი ბრალს სდებდნენ ხელისუფლებას – ჩამოართვან გამარჯვება მის კანდიდატს.

ალა ჯიოევას გამარჯვება მის შტაბში არანაირ ეჭვს არ იწვევდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაჩნდა ინფორმაცია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყველა 15 წევრმა ხელი მოაწერა შემაჯამებელ ოქმს, რომელიც კანდიდატ ჯიოევას მიიჩნევს არჩევნების გამარჯვებულად, და რომ ოთხშაბათს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნდება ეს ოქმი, „როგორც ამას კანონი მოითხოვს".

თუმცა, თავად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ინფორმაცია ამის შესახებ არ დაადასტურეს – ჩვენმა თანამოსაუბრემ მხოლოდ თქვა, რომ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ცენტრალური საარჩევნო კომისიის არანაირი მონაცემები არ გამოქვეყნდება.

სასამართლოს სხდომის დაწყებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მოდარაჯე ჟურნალისტების გვერდით ჩაიარა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატმა კონსტანტინ შერშოვმა – ის შედიოდა საერთაშორისო მეთვალყურეების ჯგუფში. როდესაც დარბაზიდან გამოვიდა, ბატონმა შერშოვმა გვაცნობა მხოლოდ, რომ „უბრალოდ თქვა ყველაფერი, რაც ნახა". მაგრამ მალე გამოირკვა, რომ დეპუტატმა სასამართლოში ილაპარაკა იმის შესახებ, რომ უბნებზე მიმდინარეობდა პირდაპირი აგიტაცია კანდიდატ ჯიოევას სასარგებლოდ. კვირა საღამოს რუსი და ყველა სხვა მეთვალყურე ხმამაღლა აცხადებდა სამხრეთ ოსეთში არჩევნების „გამჭვირვალობისა და დემოკრატიულობის" შესახებ. ეს იყო პირველი სიგნალი იმის შესახებ, რომ რუსმა მეთვალყურეებმა მკვეთრად შეცვალეს თავისი აზრი არჩევნების შესახებ და რომ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება არ იქნება ალა ჯიოევას სასარგებლოდ.

მეორე სიგნალი გახდა ის, რომ „ოსინფორმის" საიტზე, რომელიც ანატოლი ბიბილოვს უჭერს მხარს, გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს უმაღლესმა სასამართლომ: ის გააუქმებს მეორე ტურის შედეგებს; დაშლის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას; გააუქმებს შედეგებს იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც იყო დაფიქსირებული დარღვევები. საიტი განმარტავდა, რომ პირველ ორ შემთხვევაში ახალი არჩევნები შეიძლება გაიმართოს მხოლოდ ორი თვის შემდეგ, ხოლო კანდიდატს, „ვისი დანაშაულის გამოც ჩაიშალა არჩევნები", ჩამოერთმევა კენჭისყრის უფლება.

დაბოლოს, ალა ჯიოევასათვის მესამე საგანგაშო სიგნალი გახდა პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის მიმართვა, რომელშიც იგი, არსებითად, ბრალს სდებს ოპოზიციური კანდიდატის შტაბს ხელისუფლებაზე „აშკარა ზემოქმედებაზე". „გარკვეული პოლიტიკური ძალები ცდილობენ მიაღწიონ გადაწყვეტილების მიღებას თავის სასარგებლოდ, არ იხევენ უკან არანაირი საშუალებებით და მიმართავენ ღია ზემოქმედებას", – განაცხადა მოქმედმა პრეზიდენტმა.

ამ მიმართვის შემდეგ ეჭვი უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების ხასიათის შესახებ უკვე აღარ არსებობდა.

და, მართლაც, 16 საათზე უმაღლესი სასამართლოს შენობიდან გამოვიდა მდივანი და წაიკითხა დადგენილება, რომელშიც საუბარი იყო არჩევნების შედეგების გაუქმებაზე. „ყველა გაცხადებული ფაქტი დარღვევის შესახებ დადასტურდა", – განაცხადა მდივანმა. დადგენილების გაფორმება და მისი მოტივირებული ნაწილი, როგორც სასამართლოს წარმომადგენელმა განაცხადა, გამოქვეყნდება ხუთი დღის განმავლობაში.

უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ატამაზ ბიჩენოვი შენობიდან გამოვიდა დუმილით და სწრაფად გაეშურა თავისი მანქანისკენ. „რითია მოტივირებული თქვენი გადაწყვეტილება?" – შეეკითხა მას ჩვენი კორესპონდენტი. მოსამართლემ მას მჭუნვარედ შეხედა და გაემგზავრა. ოდნავ მოგვიანებით მან გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომ ახალ არჩევნებში ალა ჯიოევას მონაწილეობა არ შეიძლება, ვინაიდან „სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული იქნა დარღვევები მისი მხრიდან ამჟამინდელ არჩევნებში". საღამოს კი ექსტრემალურ სხდომაზე შეკრებილმა რესპუბლიკის პარლამენტმა პრეზიდენტის ახალი არჩევნები დანიშნა 2012 წლის 25 მარტისთვის.

Коммерсант

## დედამიწის ზურგზე



**კოსმოსური რბოლა: ეჭვი შეეპარათ აშშ-ს ლიდერობაში, ნასას ხელმძღვანელი აიძულეს ეპასუხა ამ კითხვაზე. რუსეთი კი ათეული წლებით ჩამორჩა**

ამერიკის აეროკოსმოსური სააგენტოს დირექტორმა უპასუხა კრიტიკოსებს, რომ ქვეყანა იქნება წამყვანი კოსმოსური სახელმწიფო კიდევ, როგორც მინიმუმი ნახევარი საუკუნე, და ამის დასადასტურებლად ჩამოთვალა ამბიციური პროექტები. ამ დროს რუსეთში ცდილობენ გადაიტანონ კოსმოსური ჩავარდნების მთელი რიგი წყება.

* * *

**პაკისტანი ავლენს სულ ახალ-ახალ სასჯელებს აშშ-თვის: ყველაზე არასასიამოვნო იქნება ცის დაკეტვა**




ნატოს სროლის პასუხად, როდესაც დაიბომბა ბლოკ-პოსტი და დაიღუპა 20-ზე მეტი სამხედრო, პაკისტანმა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის დახურა მომარაგების ტრასა, ჩამოართვა ავიაბაზები და გადაკვრით მიანიშნა, რომ უკვე აღარ სურს იმეგობროს ძმების – ავღანელების წინააღმდეგ. ისლამაბადის ქცევამ ვაშინგტონი დაამწუხრა და შეაშინა პაკისტანის ცაზე შეღწევის წართმევამ.

* * *

**პრესა იგონებს სვეტლანა ალილუევას: სტალინის ქალიშვილი სიღარიბეში გარდაიცვალა**



ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში მიცემულ შეკითხვაზე, თუ უყვარდა იგი მამას, სვეტლანამ კი ვუყვარდიო, უპასუხა რომ ის ჰგავდა თავის დედას. ერთ-ერთი კორესპონდენტი დაინტერესდა, ხშირად ფიქრობს თუ არა სვეტლანა თავისი მამის შესახებ, რაზეც მან მკვახედ უპასუხა: „არა. მან მე ცხოვრება დამინგრია".

* * *

**ეგვიპტეში კენჭისყრის პირველი ტური ვაჭრებთან დემონსტრანტების ჩხუბით დამთავრდა: დაიჭრა 88 კაცი**

შეტაკება დაიწყო მას შემდეგ, რაც საპროტესტო აქციის მონაწილეები შეეცადნენ გაერეკათ ქუჩის მოვაჭრეები, რომელთაგანაც რამდენიმე ათეულმა მოახდინა ტახრირის მოედნის ოკუპაცია უწესრიგობის დაწყების დროს, ათი დღის წინათ. მანიფესტანტებმა მათ ბრალი დასდეს ნარკოტიკების გაყიდვაში. სიტყვიერი კამათი გადაიზარდა ნამდვილ ბრძოლაში.



გლობუსი

# არაბული გაზაფხულის შემყურე საქართველო

**თითქმის ერთი წელი გავიდა არაბული რევოლუციის დაწყებიდან, მაგრამ კაიროს ალექსანდრიის, ისმაილიის, დამასკოს სხვა ქალაქების ქუჩებში მიმდინარე განუწყვეტელი რევოლუციური დუღილი აშკარა მანიშნებელია იმისა, რომ რევოლუცია გრძელდება და მას დასრულება არ უწერია, ვიდრე ხალხი არ მიაღწევს საწადელს.** საწადელი კი ამჟერად ეგვიპტის დროებითი მმართველის, მარშალ ტანტაუის, სირიის პრეზიდენტის, ასადის გადაყენებაა, იემენის პრეზიდენტმა უკვე გამოაცხადა გადადგომის შესახებ. ტანტაუი სწორედ ისაა, ვინც ჰოსნი მუბარაქის გაძევებისა და პასუხისგებაში მიცემის შემდეგ დროებით ჩაიბარა ხელისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ მარშალმა ტანტაუიმ ნაწილობრივ შეასრულა დანაპირები — საპარლამენტო არჩევნები, გამოაცხადა საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება, ხალხი კატეგორიულად მოითხოვს სამხედრო ხელისუფლების გადადგომას და მისი სამოქალაქო მართველობით ჩანაცვლებას.

**ძალა ხალხისა განუზომელია. მას სასწაულების მოხდენა შეუძლია, რაშიც დავრწმუნდით კიდევაც არაბეთში მიმდინარე მოვლენებთან. რევოლუცია უსისხლოდ წარმოუდგენელია, მაგრამ, როდესაც ხელისუფლება დემოკრატიული არჩევნების გზით არ იცვლება, რევოლუციის ალტერნატივა არ ჩანს.** ეგვიპტის რევოლუციის პირველ ეტაპს ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. არც მეორე ეტაპია უმსხვერპლო. სისხლი იღვრება სირიაში, იემენში, ბაჰრეინში — თანაც მსხვერპლით. სამოქალაქო ომში გადაზრდილი ლიბიის რევოლუცია ყველაზე უხვსისხლიანი გამოდგა — არაოფიციალური მონაცემებით 30.000-ზე მეტი დაიხოცა ამ ომში.

არაბული რევოლუციის გამოძახილს ყველა ქვეყნის ხელისუფლება უფრთხის. საფრთხილო უხვადაა — საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი, სოციალური ვითარების გაუარესება, უმუშევრობა, ქუჩებში გამოსული ასეულ-ათასობით დემონსტრანტი. ეკონომიკურმა პრობლემებმა შეიწირა საბერძნეთის მთავრობა, იტალიის ჩაუძირავი პრემიერ-მინისტრი ბერლუსკონი, ესპანეთის სოციალისტური ხელისუფლება, პორტუგალიის მთავრობა და სხვა. მომავალი წლის გაზაფხულზე ხალხი თავის ავტორიტეტულ სიტყვას იტყვის საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნების დროს, მოგვიანებით ამერიკის შეერთებული შტატების არჩევნებში.

დიდია ხალხის როლი ვადამდელი არჩევნების დანიშვნაში. სწორედ ხალხის მასობრივი, პერმანენტული და არა ეპიზოდური დემონსტრაციებით, მიტინგებით მიიღწევა ხელისუფალთა დაყოლიება ვადამდელი არჩევნებისთვის.

**მსოფლიოში მიმდინარე პროცესების თვალის გადავლებისას, ერთი მხრივ, ვხედავთ ხელისუფალთა ძალაუფლებით თრობის უამრავ მაგალითს, მაღალი სავარძლისადმი განუსაზღვრელ სიყვარულს, ხოლო, მეორე მხრივ, ხალხის თავგანწირვას, სისხლს, გაღებულ მსხვერპლს, გამარჯვებას. ამ მოვლენებისადმი საქართველოს ხელისუფლებას და ხალხს თუ იდენტური არა, მიახლოებული შეხედულებები აქვს. ხელისუფლება თვლის, რომ საქართველოში 2003 წელს უკვე იყო რევოლუცია და მეტი აღარ იქნება. ხელისუფლება მიიჩნევს, რომ „ვარდების რევოლუციის“ ყველა შემდგომი რევოლუცია, მათ შორის არაბულიც, „ვარდებიდან“ იღებს სათავეს. ხელისუფლება მართალია, როდესაც ამბობს, რომ მეტი რევოლუცია არ იქნება, არათუ რევოლუცია, მასობრივი მიტინგიც არ ჩანს, თუნდაც ისეთი, რასაც ადგილი ჰქონდა 2007 წლის შემოდგომით და 2008 წლის დასაწყისში. ქვეცნობიერად ხალხიც ასე ფიქრობს და ეს ფიქრი ნამდვილად არ არის გამოწვეული მსოფლმხედველობის შეცვლით, დემოკრატიისკენ ან კალენდარული არჩევნებისკენ გადახრით. მრავალ მიზეზთა გამო მას არ აქვს ამბოხის თავი. უფრო სწორად ხალხი ოპოზიციაში ვერ ხედავს ისეთს, ვისთვისაც ღირს მხარის დაჭერა და თავის გაწირვა. ამას წინათ ერთ-ერთი რადიოდებატის დროს ოპოზიციის წარმომადგენელმა განაცხადა ხალხის აზრის „სასიკეთო“ ფერისცვალების შესახებ. ოპოზიციონერის ნათქვამი წააგავს ხელისუფალთა მოსაზრებას. ხელისუფლებას გაფიქრებაც არ უნდა მასობრივ გამოსვლებზე. ის საკუთარი კომფორტული ცხოვრების მარადიული შენარჩუნებისთვის შეუძლებელს შეძლებს. რაც შეეხება ოპოზიციას, საკუთარი უსუსურობიდან გამომდინარე, აღარაფერი დარჩენია გარდა იმისა, ყველაფერი ხალხს გადააბრალოს და ხმამაღლა განაცხადოს, რომ ხალხი პრიორიტეტად დაგეგმილ არჩევნებს მიიჩნევს და არა რევოლუციას.**



ცხადია, ხალხის დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენებისადმი ისეთი აღარ არის, როგორიც 2007, 2008 წლებში. ცვალებადობის მიზეზი მრავალია. უპირველესად კი ხელისუფლების სათანადო დასკვნები დაშვებული შეცდომებიდან და ხალხზე ზემოქმედების მიზნით მათრახისა და სტაფილოს ცნობილი მეთოდის ახლებურად ამოქმედება — საკუთარი იმპროვიზაციის დამატებით. შედეგად — გაიზარდა პენიტენციური დაწესებულების კონტინგენტი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია თავისუფლებააღკვეთილთა მაღალი მაჩვენებელი.

**რა დაუპირისპირა ოპოზიციამ ხელისუფალთა ქცევას, რა იღონა ამ და სხვა უმწვავესი საკითხების მოგვარებისთვის? გარდა ცალ-ცალკე ლაპარაკისა, არაფერი. ოპოზიციას, ყველას ერთად, ხმამაღლა არ გაუპროტესტებია, საპროტესტო წერილით არ მიუმართავს პრეზიდენტისათვის ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ხალხს აინტერესებს, მაგალითად: სოციალური უსამართლობა, გაუსაძლისი სოციალური პირობები, კვების პროდუქტებზე და პირველადი მოთხოვნილების საგნებზე ფასების მატება, გადასახადების ზრდა და სხვა. ზოგიერთ საკითხში, ისეთში, როგორიცაა საგარეო პოლიტიკა, ოპოზიცია-ხელისუფლების აზრი იდენტურია. უცხო ქვეყნების დელეგაციებთან შეხვედრების დროს ოპოზიცია ნაკლებ ყურადღებას უთმობს ხელისუფალთა აღვირახსნილობას და ნაცვლად ამისა მათ ყურადღებას ამახვილებს გარე საფრთხეებზე, რუსეთის სახით. მაშინ, როდესაც ხალხი ქვეყნისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ რუსეთს კი არა, საკუთარ ხელისუფლებას მიიჩნევს. ხალხის თვალში ოპოზიცია იმდენად დისკრედიტებულია, ცხადია, ივანიშვილის გარდა, რომ გაუჭირდება მისთვის არჩევნებში ხმის მიცემა. ეს იცის პარლამენტში თავშეფარებულმა ოპოზიციამ და ზოგიერთმა გარეთ მყოფმა. ამიტომაც გააქტიურეს მათ ნაციონალებთან კულუარული შეხვედრები. შემუშავდა მათი პარლამენტში შეყვანის ახალი გეგმა, პარლამენტართა რაოდენობის 190-მდე გაზრდით. ხელისუფლება — თვინიერი ოპოზიციის მიერ დაგეგმილ ტკბილ ცხოვრებას წყალი შეუყენა ივანიშვილის გამოჩენამ. და თუ მისი ხელოვნური გზით შეჩერება არ მოხდა, ნაციონალები არათუ თავის თანამგზავრ „ოპოზიციას“ ვერ შეიყვანს პარლამენტში, არამედ საკუთარ თავსაც. თუმცა არჩევნებამდე საკმაო დროა დარჩენილი, რაც თავისთავად მიგვანიშნებს არაერთ სიურპრიზზე.**

დავუბრუნდეთ არაბულ სამყაროს. ზემოთ აღვნიშნე იემენის პრეზიდენტის სალეჰის გადაწყვეტილების თაობაზე. მის ნაცვლად დროებით ვიცე-პრეზიდენტი იქნება ქვეყნის სათავეში, ხოლო მთავრობას ოპოზიცია ჩაუდგება. მომავალი წლის თებერვალში კი გაიმართება საპრეზიდენტო არჩევნები. საპარლამენტო არჩევნები გაიმართა მაროკოს სამეფოსა და ტუნისში. ორივეგან ოპოზიციურმა ისლამურმა მოძრაობამ გაიმარჯვა. მაროკოში მთავრობას სწორედ ისლამისტები ჩამოაყალიბებენ. შემცირდება მეფის ძალაუფლებაც. მთელ რიგ საკითხებს ახალი მთავრობა გადაწყვეტს. ერთი წლის წინათ ძვრებს, რასაც ადგილი აქვს არაბულ ქვეყნებში, ვერავინ ივარაუდებდა, მათ შორის ისეთი ყოვლის შემძლე ორგანიზაცია, როგორიცაა აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო. ის, რაც მოხდა და ხდება, ხალხის შემოქმედებაა, თანაც ყოველგვარი გამოკვეთილი ლიდერის ან პარტიის გარეშე.

არაბული რევოლუცია, დემოკრატიულ ევროპა-ამერიკაში ხალხის მასობრივი გამოსვლები აშკარა მანიშნებელია მისი პოლიტიკური სიმწიფისა. საქართველოს ხელისუფლებას ხშირად უყვარს იმის დეკლარირება, რომ საქართველო ევროპაა, რომ ის სამართლიანად იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს ევროპაში, მაგრამ რა იგულისხმება ამაში, ჯერჯერობით გაურკვეველია. **ევროპელობა ნიშნავს მუდმივ ბრძოლას უკეთესი ცხოვრებისათვის — მასობრივ დემონსტრაციებს, მიტინგებს, გაფიცვებს — ადამიანის უფლებების დაცვისთვის. შედეგიც არ აყოვნებს — ვადამდელი არჩევნების სახით, ძველი მთავრობის ახლით ჩანაცვლებით, სოციალური პირობების გაუმჯობესებით და სხვა. მსგავსს ჩვენში ადგილი არ აქვს. გაფიცვა ვახსენე, მაგრამ აქ ვინ უნდა გაიფიცოს — არაარსებული ფაბრიკა-ქარხნების მუშები? ის, ვინც ასე თუ ისე არის დასაქმებული, შიშით, რომ სამუშაო არ დაკარგოს, ხმას არ იღებს, არ აპროტესტებს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულთა მიმართ მონურ დამოკიდებულებას. ქართული სახელმწიფოც და ბიზნესიც არაადამიანურ პირობებში აყენებს დასაქმებულს, მაგრამ ამის ხმამაღლა მთქმელი არავინაა, არც ოპოზიცია და არც პროფკავშირები. ასეთ ვითარებაში მართვაც იოლია და რევოლუციაც წარმოუდგენელი, არც ვითარება შეიცვლება და არც საამური ცხოვრება დაისადგურებს. მხოლოდ შრომით, გარჯით, თავდადებით, შეუპოვრობით, თუნდაც თავგანწირვით მოიპოვება ის, რაც ევროპის ხალხებს აქვთ, იმ ევროპის, სადაც თურმე ჩვენც ვართ. ბრძოლაა დასაბამი იმისა, რასაც არაბულ სამყაროში აქვს ადგილი — ძალიან შორეული ჩვენი მენტალიტეტისგან.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი.
პოლიტოლოგი.

გვწერენ

# მადლიერ პაციენტთა სახელით

ძვირფასო რედაქციავ! ამას წინათ წერეთლის პროსპექტზე განთავსებულ „სკრინინგ-ცენტრში“ მივედი მორიგი პროფილაქტიკისთვის, სადაც გულდასმით გამსინჯა მამოლოგმა თამუნა აბულაძემ. ყველა პროცედურის ჩატარების შემდეგ გულისხმიერმა ექიმმა ამიხსნა საფრთხის მასშტაბები, დაჟინებით მომთხოვა ჩემთვის სასურველ ქირურგთან მისვლა, რომელსაც მივენდობოდი და გავაგრძელებდი შემდგომ მკურნალობას.

დიდხანს არ მიფიქრია და აღმოვჩნდი „ნეოკლინიკის“ მამოლოგიურ ცენტრსა და მრავალპროფილურ ონკოლოგიურ კლინიკა შპს „ქირონში“, რომლის ხელმძღვანელია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი პროფესორი გია ნემსაძე.

მას მისაღებში მუდამ მრავალი პაციენტი ელოდება... ავადმყოფთა გასაჭირი გულთან მიაქვს და მათ თავისებურ კონსულტაციას უწევს ბატონი გიას მდივანი-თანაშემწე თამილა გელიაშვილი.

თავისი საქმის დიდმა პროფესიონალმა და უზადო ქირურგმა გია ნემსაძემ კონსულტაციის შემდეგ მითხრა, რომ აუცილებელი იყო მკერდის ოპერაცია, რისი შორს გადადებაც არ შეიძლებოდა, რადგანაც დროული მკურნალობა ყოველთვის სასიკეთოდ მთავრდება.

ოპერაცია მაღალპროფესიონალურად ჩატარდა. ბატონ გია ნემსაძეს გვერდით ედგნენ თავისი საქმის ნამდვილი ოსტატები დიანა ნემსაძე (თავისი ქალიშვილიძ, ანესთეზიოლოგი ირაკლი ლალიძე, ახალგაზრდა რეზიდენტი ნათია ცაბუტაშვილი და მთელი მედპერსონალი, რომლებიც ღამეებს გვითევდნენ ახალნაოპერაციევ პაციენტებს და მდგომარეობას გვიმსუბუქებდნენ.

თქვენი გაზეთის საშუალებით მსურს დიდი მადლიერება და პატივისცემა გამოვხატო ამ ადამიანების მიმართ. ღმერთმა გვიმრავლოს თქვენნაირი პროფესიონალები!

დიდი პატივისცემით —

ნანა გაფრინდაშვილი

ინფორმაცია

## შსს-მ მკვლელობისთვის ბრალდებული დააკავა

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობისთვის ბრალდებული, 45 წლის ვარდან ვანციანი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულმა ვარდან მანციანმა, ჯერჯერობით გაურკვეველი მოტივით, განიზრახა თავისი 5 თვის ფეხმძიმე მეუღლის ელმირა ვანციანის მკვლელობა. საკუთარი საცხოვრებელი სახლიდან აიღო ხანჯალი, შევიდა პირუტყვის სადგომში და მეუღლეს მიაყენა ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ხასიათის მრავლობითი ჭრილობები: კისრის მარჯვენა ზედაპირზე, გულ-მკერდის, მუცლის, მარცხენა მხრის, მარცხენა მუხლის არეში, ფილტვების, ღვიძლის, წვრილი ნაწლავების და საშვილოსნოს დაზიანებებით, საიდანაც თერთმეტი ჭრილობა ეკუთვნის სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანებას. ელმირა ვანციანი მიყენებული ჭრილობების შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა.

პოლიციის მიერ ამოღებულია დანაშაულის იარაღი. დაკავებული აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს.გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის II ნაწილის „ა“ პუნქტით.

ჯი-ეიჩ-ენი

### კალათბურთი

# ცალი ფეხით – მორიგ ეტაპზე

**რაც დრო გადის, თავდაცვის სამინისტროს გუნდი „არმია“ უფრო მეტ გამოცდილებას იძენს და არა მარტო საქართველოს სუპერლიგაში, არამედ ევროჩელენჯზეც საკმაოდ სერიოზულ ძალად ყალიბდება, რასაც ხელს კვალიფიციურ ლეგიონერთა მოზღვავებაც უწყობს.**

გუშინ ერთ-ერთი უკანასკნელი – ამერიკელი კლიფტონ ჰოკინსი წარმოგიდგინეთ, დღეს კი ლიბანური წარმოშობის ამერიკელ **მეტ ფრეის** გაგაცნობთ. მან ნბა-ში თამაში 2004 წელს „ნიუ ორლეანიდან“ დაიწყო, ხოლო 2006-2007 წლებში ზაზა ფაჩულიასთან ერთად „ატლანტა ჰოუქსის“ სპორტულ ღირსებას იცავდა.

მეტ ფრეის საბრძოლო ნათლობა ევროჩელენჯის ჯგუფური რაუნდის IV ტურში შედგა, რომელშიც მისმა ახალმა პარტნიორებმა გერმანიაში უპრობლემოდ სძლიეს „გეტინგენს“ და დარჩენილი ორი შეხვედრიდან ერთის მოგებაც ეყოფათ შემდეგ წრეში გასასვლელად. ჰოკინსი ამჯერად სარბიელზე არ გამოსულა.

აღსანიშნავია, რომ უთანასწორო ბრძოლის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდა, როცა სტუმართა უპირატესობამ 20 ქულას მიაღწია. მეტოქემ მხოლოდ ბოლო წუთებზე მოახერხა სხვაობის შემცირება – 69:61.

**„არმია“:** რიჩარდსონი – 23 ქულა (5 მოხსნაძ, თომასი – 12 (13 მოხსნა, 3 პასიძ, შელბომი – 11 (10 მოხსნა, 4 დაფარებაძ, გეინსი – 10 (6 პასიძ, ბოისა – 6, დიასი – 4, საყვარელიძე – 3 ქულა. ითამაშეს აგრეთვე კვიმსაძემ და ფრეიმ.



**„ბეშიქთაში“ – „ლეიდენი“ 76:69.**

„ბეშიქთაში“ – 4, „არმია“ – 3, „ლეიდენი“ – 1, „გეტინგენი“ – 0 მოგება.

**V ტური.** არმია – „ბეშიქთაში“ (6 დეკემბერიძ, „ლეიდენი“ – „გეტინგენი“ (7 დეკემბერიძ.

### ფეხბურთი

# უარესს ვერც წარმოვიდგენდით




**გაისად 26-31 მარტს თბილისი 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდს უმასპინძლებს. დიდი იმედი გვქონდა, რომ ჭაბუკი „ჯვაროსნები“ სლოვენიისკენ გაიკვლევდნენ გზას, სადაც 4-16 მაისს ფინალური ტურნირია დანიშნული, მაგრამ ამ დღეებში გამართულმა კენჭისყრამ, ალბათ, ჩვენი გუნდის თვით ყველაზე ოპტიმისტი გულშემატკივრებიც გააწბილა.**

თავად განსაჯეთ – ვასილ მაისურაძის შეგირდებს ერთადერთი საგზურის მოსაპოვებლად მეტოქეობას ესპანელი, ინგლისელი და უკრაინელი თანატოლები გაუწევენ.

დაგვეთანხმებით, უარესს ვერც წარმოვიდგენდით.

სამაგიეროდ, შედარებით გაუმართლა ჩვენი ქვეყნის 19-წლამდელთა ნაკრებს, რომელიც ელიტარულ შესარჩევ რაუნდში ბოსნიასთან, ხორვატეთთან და ავსტრიასთან ერთად მოხვდა. თუ სად ითამაშებენ გიორგი დევდარიანის ბიჭები, მოგვიანებით დაზუსტდება, გადამწყვეტი ეტაპი კი 13-15 ივლისს ესტონეთში გაიმართება.

### ჯანსაღი ცხოვრების წესი

# ტრადიციის ერთგულნი

**როგორც ყოველთვის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დიდ პატივშია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, რაც მისი რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, კანცლერის, პროფესორ ზურაბ ორჯონიკიძის, სტუდენტთა თვითმმართველობის თავკაცის გიგა სორდიას, სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის ზაურ ფხალაძისა და ამავე ცენტრის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელის ვახტანგ ბაქანიძის დამსახურებაა.**

დასტურად ახლახან გამართული შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი გამოდგება მინიფეხბურთში, რომელშიც 20 გუნდი მონაწილეობდა.

სტუდენტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ორთვიანი საინტერესო ტურნირის გამარჯვებული გახდა ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის გუნდი „რეაბილიტაცია“, რომელმაც ნახევარფინალში შარშანდელ ტრიუმფატორ „ზევსს“ სძლია (მან საბოლოოდ III ადგილი დაიკავაძ, ხოლო ფინალში მედიცინის ფაკულტეტის გუნდ „რეალ მადრიდს“ დაამარცხა ფარ-ხმალი – 3:1.

აქვე გაუწყებთ ინდივიდუალური პრიზების მფლობელთა ვინაობას: **საუკეთესო მეკარე** – რევაზ მანჯგალაძე (მედიცინის ფაკულტეტი, I კურსიძ, **საუკეთესო მცველი** – დავით შამათავა (ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი, III კურსი), **ბომბარდირი** – გიორგი პაიჭაძე (სტომატოლოგიის ფაკულტეტი, I კურსიძ, **ყველაზე ტექნიკური მოთამაშე** – გიორგი ჭუმბურიძე (ჯანდაცვის ფაკულტეტი, I კურსიძ, **ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი** – გიორგი გოგიძე (მედიცინის ფაკულტეტი, II კურსიძ.



აღნიშნული ასპარეზობის დასრულებისთანავე შეირჩნენ თსსუ-ს ნაკრების კანდიდატები, რომლებიც სპორტკომპლექს „ქარიშხალაში“ ფუტსალში უმაღლესი სასწავლებლების ჩემპიონატისთვის ემზადებიან. ამ ტურნირს დეკემბერში საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია მოაწყობს.

**თორნიკე გოგიჩაიშვილი,**
**თსსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი**

**სურათებზე: I რიგში: რეზი ვახტანგაძე, ზვიად ბლიაძე, რეზი მანჯგალაძე. II რიგში: ზაურ ფხალაძე, გიორგი ჭუმბურიძე, გიორგი გოგიძე, გიორგი მურცხვალაძე, თორნიკე გოგიჩაიშვილი, გიორგი ჭინჭარაული, ცოტნე ნანიტაშვილი, ვახტანგ ბაქანიძე; ასპარეზობის მომენტი.**



### თავისუფალი ჭიდაობა

# ძველი გვარდია ისევ მწყობრშია

**სპორტდარბაზ „არენაში“ ორ დღეს გრძელდებოდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიატ დავით ხუციშვილის, დავით მარსაგიშვილის, დავით მოძმანაშვილის, მალხაზ ზარქუას და უსაგზურო ვლადიმერ ხინჩეგაშვილის გარდა, ყველა უძლიერესი ფალავანი მონაწილეობდა.** სასიამოვნოა, რომ წონითი კატეგორიების მიხედვით მრავალმა ახალგაზრდა მოჭიდავემ გამოიჩინა თავი, მაგრამ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად, უმთავრესად, ისევ ძველმა გვარდიამ იმძლავრა. მაგალითად, 55 კილოში საინტერესო იყო ფინალური პაექრობა, თუმცა ევროპის ვიცე-ჩემპიონმა ბესარიონ გუჩაშვილმა მაინც იოლად სძლია გიორგი ედიშერაშვილს. ძველმა ტრავმამ ისევ შეახსენა თავი პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორ ოთარ თუშიშვილს (66ძ, რომელმაც, ფაქტობრივად ტკივილგამაყუჩებლებითა და ცალი ხელით მოუგო გადამწყვეტი ორთაბრძოლა გიორგი ბალიაშვილს. პაექრობის ბოლოს ისე ძალუმად სტკიოდა ნეკნი, რომ შეხვედრის მსაჯმა გამარჯვების აღსანიშნავად თუშიშვილის ხელი მაღლა ვერც შემართა. 96 კილოში კვლავ შეუდარებელი იყო მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, პეკინის ოლიმპიადის მესამეადგილოსანი გიორგი გოგშელიძე (96 კგძ. მან ყველა ორთაბრძოლა, მათ შორის – ფინალურიც, ძალების დაუძაბავად მოიგო. ასპარეზობის ბოლოს მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ტრავმების მოშუშების შემდეგ ნელ-ნელა იბრუნებს სპორტულ ფორმას და ლონდონის ოლიმპიადისთვის მომზადების პიკში იქნება. ეს კი ნიშნავს, რომ გაისად სახელოვანი ფალავანი საქართველოს თავის წონაში საგზურს მოუტანს.




**კვარცხლბეკი**

**55 კგ.** 1. ბესიკ გუჩაშვილი (გორიძ, 2. გიორგი ედიშერაშვილი (თბილისიძ, 3. ტრისტან ჩირგაძე (ქუთაისიძ, ამირან ელზაქიძე (გორიძ.

**60 კგ.** 1. დავით ბერძენიშვილი, 2. გიორგი ბალიაშვილი (ორივე – გორიძ, 3. მურთაზ კვესაძე (ქუთაისიძ, მალხაზ ქურდიანი (ბოლნისიძ.

**66 კგ.** 1. ოთარ თუშიშვილი (გორიძ, 2. კობა კაკალაძე (აჭარაძ, 3. ზურაბ იაკობაშვილი (ყვარელიძ, გიორგი ცუცქირიძე (ქუთაისიძ.

**74 კგ.** 1. იაკობ მაქარაშვილი (თბილისიძ, 2. ზურაბ ერბოწონაშვილი (საგარეჯოძ, 3. გოგა ხუჭუა (სამტრედიაძ, გიორგი მარსაგიშვილი (სტეფანწმინდაძ.

**84 კგ.** ბექა ჭელიძე (აჭარაძ, 2. თორნიკე სვანიძე (თბილისიძ, მარად ზოიძე (აჭარაძ, სანდრო ამინაშვილი (გარდაბანიძ.

**96 კგ.** 1. გიორგი გოგშელიძე (გორიძ, 2. ელიზბარ ოდიკაძე, 3. დავით ქერაშვილი (ორივე– თბილისიძ, მამუკა კორძაია (აჭარაძ.

**120 კგ.** 1. გიორგი საკანდელიძე, 2. ლევან ბერიანიძე (ორივე – თბილისიძ, 3. ლევან სეთურიძე (სტეფანწმინდაძ, გიორგი მეშვილდიშვილი (ონიძ.

### ვითარება

# ანზორ კავაზაშვილი - საავადმყოფოში

**ეს არასასიამოვნო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან: სახელგანთქმული ქართველი ფეხბურთელი ანზორ კავაზაშვილი – რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატზე მოლაპარაკებული მატჩების გამოსავლენი საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარე, ინფარქტის დიაგნოზით მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში მოათავსეს.**



ჩვენი ახალგაზრდობა მაინცდამაინც კარგად არ იცნობს მას. ბატონი ანზორი დაიბადა ბათუმში 1940 წლის 19 ივლისს. ის ფეხბურთელის, პირველ რიგში მეკარის თვისებებს თბილისის ბავშვთა და მოზართა სპორტულ სკოლა „დინამოში“ დაეუფლა, პირველი წრთობა კი თბილისის „დინამოში“ მიიღო (1957-59 წლებიძ, თავის, როგორც ფეხბურთელის კარიერაში, ის თამაშობდა ლენინგრადის „ზენიტში“, მოსკოვის „ტორპედოსა“ და „სპარტაკში“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და სხვა გუნდებში, საბჭოთა კავშირის ნაკრებში ნათამაშები აქვს 29 მატჩი, 1965 და 1969 წლებში იყო სსრ კავშირის ჩემპიონი, 1968 და 1971 წლებში – სსრ კავშირის თასის მფლობელი. 1965 და 1967 წლებში აღიარეს საბჭოეთის საუკეთესო მეკარედ.

მალე გამოჯანმრთელებას და ისევ ფეხბურთის სამსახურში ჩადგომას ვუსურვებთ ჩვენს სახელოვან თანამემამულეს!

### ინტერნეტიდან

# ლამაზი ტანსაცმელი და ფეხბურთი

**თუმცა ის აპენინებიდან შორს დაიბადა, მაგრამ, როგორც ყველა იტალიელ ლამაზმანს, მასაც უყვარს ლამაზი ტანსაცმელი და ფეხბურთელები.**

ის, როგორც იტალიის ნაკრების თავდამსხმელი ჯუზეპე როსი, მარია მაცაც ნიუ-ჯერსში დაიბადა, შემდეგ კი იტალიაში „გადაცხოვრდა“. იყო კონკურსის „იტალიის დედოფლის“ ფინალისტი. 2000-2002 წლებში რომანი ჰქონდა ფრანჩესკო ტოტისთან, შემდეგ კი ფაბიო კანავაროს ეარშიყებოდა. სწორედ 2006 წლის იტალიის ნაკრების კაპიტანმა შეაყვარა მას ნეაპოლი და ყოველივე მასთან დაკავშირებული. ახლა კი „ნაპოლის“ მგზნებარე გულშემატკივარია.

ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, ნეაპოლელები ახლა ჩემპიონატის A სერიაში მაღალი ადგილებისთვის იბრძვიან და, როგორც ბევრი მოდელი, „ნაპოლის“ გაჩემპიონების შემთხვევაში ისიც გაშიშვლებას აპირებს. „მე არ ვიცი, ვინ გაიმარჯვებს, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი, თუ „ნაპოლი“ ჩემპიონი გახდება, მას ღირსეულად აღვნიშნავ!“ – უთქვამს მარია მაცას. ღმერთმა ხელი მოუმართოს „ნაპოლსაც“ და მის ლამაზ გულშემატკივარსაც!



ხსოვნა

# იოსებ (სოსო) ხარატიშვილი

დიდი დანაკლისი განიცადა საქართველოს ტექნიკურმა ინტელიგენციამ – შეწყდა ქვეყნისა და ხალხისთვის თავდადებული მამულიშვილის, ცნობილი მშენებლისა და საზოგადო მოღვაწის იოსებ (სოსო) ხარატიშვილის სიცოცხლე.

წავიდა ჩვენგან უაღრესად კეთილშობილი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი, მაღალი ზნეობისა და მოქალაქეობრივი პრინციპების მატარებელი პიროვნება.

დიდი გულისტკივილითა და ღრმა მწუხარებით ვემშვიდობებით ბატონ სოსოს – საქართველოს მშენებელთა კოჰორტის ღირსეულ წარმომადგენელს, საქართველოს პარლამენტის სამი მოწვევის დეპუტატს.

იოსებ ხარატიშვილი დაიბადა 1923 წლის 4 თებერვალს. ყვარლის საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1948 წელს, დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, ხოლო 1950 წელს – თბილისის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა.



იოსებ ხარატიშვილის შრომითი საქმიანობა ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაიწყო. აი, მის მერე განვლილი თანამდებობრივი საფეხურები: თბილისის საოლქო ალმასკომის კაპმშენებლობის სექტორის უფროსი, შემდეგ – აქვე, კომუნალური მეურნეობის სამმართველოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სამშენებლო სამმართველოს უფროსი, ამავე კოოპერაციის სამშენებლო ტრესტის მმართველი, საქართველოს სასოფლო, ხოლო გაერთიანების შემდეგ, მშენებლობის მინისტრი, სახაგრომრეწვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და გაერთიანება „საქაგრომშენის“ თავმჯდომარე, რომელიც მალე კონცერნ „საქსოფლმშენად“ გადაკეთდა.

მშენებლის პროფესიისადმი მისთვის დამახასიათებელ უსაზღვრო ერთგულებასა და პატივისცემას მუდმივად თან სდევდა სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის გრძნობა, რამაც ხელი შეუწყო იოსებ ხარატიშვილის, როგორც პიროვნების, ჩამოყალიბებას არა მარტო უმაღლესი კვალიფიკაციის მშენებელ ინჟინრად და ამ დარგის თეორეტიკოსად, არამედ სამაგალითო ორგანიზატორად, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა საქართველოს მშენებლობის მინისტრად და საქართველოს პარლამენტის ყველაზე მრავალპროფილიანი კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ მისი მუშაობის პერიოდში.

იოსებ ხარატიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოში სასოფლო მშენებლობა ჩამოყალიბდა, როგორც სრულიად დამოუკიდებელი დარგი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში. მშენებლობის მინისტრის პოსტზე იოსებ ხარატიშვილის მუშაობის პერიოდს მიეკუთვნება ისეთი რთული სამრეწველო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, როგორიცაა ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული და ქიმიური კომბინატები.

ხარატიშვილის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოები შესრულდა მიწისძვრით დაზარალებული სოფლების აღდგენაზე, ასევე დიდია მისი როლი მეზობელი სომხეთის დაზარალებული რაიონების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაში.

აღსანიშნავია ბატონ სოსოს როლი მშენებლობის თეორიული საკითხების განვითარებაშიც. მას გამოქვეყნებული აქვს 13 ნაშრომი, ორი მონოგრაფია, არის მრავალი გამოგონების ავტორი. მის სამშენებლო საქმიანობას, როგორც წესი, მუდმივად თან სდევდა ტექნიკური პროგრესი. მას განსაკუთრებული ნიჭი და უნარი ჰქონდა ახალგაზრდა მშენებელთა კადრების აღზრდისა და უნარის განვითარებისა. მის მიერ აღზრდილი და გზაზე დაყენებული მრავალი ახალგაზრდა წარმატებული მშენებელი და ხელმძღვანელი მუშაკი დადგა.

იოსებ ხარატიშვილის ინიციატივისა და ხელმძღვანელობის შედეგად საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა 1997 წელს პარიზში მოწყობილ დიდ სამშენებლო გამოფენაში, რომელშიც მონაწილეობდა 42 ქვეყნის 4000-მდე ფირმა. აღსანიშნავია, რომ გამოფენაზე საქართველოს ექსპონატებს ყურადღება არ მოჰკლებია.

იოსებ ხარატიშვილი იყო საქართველოს სამშენებლო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ხუთი რაიონის საპატიო მოქალაქე, დაჯილდოებულია ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენებით, აქვს საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული ინჟინრის წოდება. იყო სპორტის დამსახურებული მუშაკი.

დახვეწილი გარეგნობა, მჭევრმეტყველება, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების საქმის სასარგებლოდ მიმართვის შეუდარებელი უნარი, ახალგაზრდობისთვის ამ გამოცდილების გადაცემისთვის ზრუნვა, კარგი მეგობრობა და თანამშრომლობა, აი, როგორი იყო ბატონი იოსებ ხარატიშვილი. იგი ამავე დროს იყო ერთგული მეუღლე და მამა, მოსიყვარულე და სამაგალითო პაპა, მზრუნველი ნათესავი, მეგობარი და აღმზრდელი.

მაღალზნეობრივ ადამიანს, ნამდვილ პროფესიონალს, სამართლიანს, მომთხოვნს, ამასთანავე ზედმიწევნით ობიექტურს, ბატონ სოსოს ყველგან ჰქონდა მოპოვებული დამსახურებული პატივისცემა და სიყვარული. მის გვერდით მომუშავე ქალი თუ კაცი, ახალგაზრდა თუ ხნიერი, ყველა ერთნაირად კომფორტულად გრძნობდა თავს ურთიერთობისას, რადგან არავის აგრძნობინებდა განსხვავებას ასაკში, პროფესიონალიზმში თუ თანამდებობაში.

იოსებ ხარატიშვილმა იცხოვრა ისე, როგორც შეშვენის მის სახელოვან წინაპრებს. იგი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან, ღირსეულად განვლო ცხოვრების გზა, ერთგულად და პატიოსნად ემსახურა სამშობლოს და საპატიო, გამორჩეული ადგილი ეკავა საზოგადოებაში, მეგობართა გულებში.

ძნელია ამ პატარა გამოსათხოვარ წერილში იმ დიდი ტკივილის გამოხატვა, რასაც ბატონ სოსოს ოჯახთან ერთად, მისი ნაცნობ-მეგობრები, საზოგადოება, ტექნიკური ინტელიგენცია იოსებ ხარატიშვილის გარდაცვალების გამო განიცდის.

იოსებ ხარატიშვილს, ჩვენს ღირსეულ მამულიშვილს, ღვაწლმოსილ სახელმწიფო მოღვაწეს, არასდროს დაივიწყებენ ქართველი ხალხი, კოლეგები და მეგობრები.

**გიგლა არაბული, ოთარ ბიბილეიშვილი, გოგი ბერაძე, ჯემალ გოგორიშვილი, ჯემალ გაგუნაშვილი, გურამ გაბუნია, როლანდ იოსელიანი, დემურ კოვზირიძე, გივი კვიჭიძე, ნიკო ლეკიშვილი, ჯიმი მიძელაძე, მერაბ მახარაძე, მერაბ ნიკოლაიშვილი, ჯუმბერ პატიაშვილი, ბორის სარალიძე, ავთანდილ საყვარელიძე, რევაზ ტყემალაძე, კოტე უჩანეიშვილი, ვახტანგ ყანჩაველი, თემურ ჩარკვიანი, ნოდარ ჭითანავა, თეიმურაზ ჯანაშია, ნუგზარ ჭიჭაღუა.**



შვილები მანანა, გია, შვილიშვილები ნინიკო, იაკო, ნატო, სოსიკო, ნიკა, შვილთაშვილები გიორგულა, ნინი, ელენე, ლუკა, მარიამი, გია, ლიზა, რძლები ლია შენგელია, გვანცა ჩიქობავა, ვალენტინა დიმიტროვა, ირინა მახვილაძე, სიძეები გიგა მახარაძე, გია მანჯგალაძე, ალეკო ეზუგბაია, ძმისწულები ნათელა, მარინა, გიგა, ირინა, მძახალი ნორა ბაბუნაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**იოსებ (სოსო) ხარატიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2 XII, 16 სთ. გამოსვენება 3 XII, 14 სთ. თამარაშვილის 4ა, III სადარბაზო, IV სართული.

---

ედუარდ შევარდნაძე ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამორჩეული ქართველი მეურნე, ღირსეული მოქალაქე, მეგობარი და თანამოაზრე ბატონი

**იოსებ ხარატიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს მისი ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

ედუარდ შევარდნაძე
30/11/2011 წ.

---



სააქციო საზოგადოება ბიზნესცენტრი „სოფმშენის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე საზოგადოების წევრი, საქართველოს სასოფლო მშენებლობის ყოფილი მინისტრი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის წევრი, ვახტანგ გორგასლის და ღირსების ორდენების კავალერი, ღვაწლმოსილი მშენებელი და საზოგადო მოღვაწე

**იოსებ (სოსო) ხარატიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ინფორმაცია

## საგანგებო და სპეციალური სამსახურების ძველი სატელეფონო ნომრები კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში იმუშავებს

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომუნიკაციების კომისიიდან აცნობეს, უამინდობის გამო, მოსახლეობის ინტერესის გათვალისწინებით, საგანგებო და სპეციალური სამსახურების ძველი ნომრები კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში იმუშავებს. დეტალებზე ინფორმაციას კომისია მოგვიანებით გაავრცელებს.

საგანგებო და სპეციალური სამსახურების ახალი სატელეფონო ნომრები ძალაში დღეიდან უნდა შესულიყო. ცვლილების პირველ ეტაპზე საგანგებო სამსახურების 0X(X) ფორმატის მოკლე სპეციალური ნომრები 1XX ფორმატის მოკლე სპეციალური ნომრებით შეიცვლა.

ცვლილებების შემდეგ, სახანძრო - სამაშველო სამსახურის ნომრები - 01 და 011, შეიცვალა ნომრით - 111; სასწრაფო სამედიცინო დახმარების ნომრები 03 და 033, შეიცვალა ნომრით - 113; გაზის საავარიო სამსახურის ნომერი - 04, შეიცვალა ნომრით -114; საპატრულო პოლიციის ნომერი - 022, შეიცვალა ნომრით - 122; დაცვის პოლიციის ნომერი - 025, შეიცვალა ნომრით - 125.

კომუნიკაციების კომისიის ინფორმაციით, შეიცვლება ყველა სხვა ორგანიზაციების და სამსახურების ტელეფონების მოკლე ნომრები, რომლებიც ციფრი 0-ით ან ციფრი 8-ით იწყება. მაგალითისთვის საინფორმაციო საცნობარო სამსახურები 08 და 09 გახდება 118 08 და 118 09.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ჩვენი გაზეთის მეგობარსა და ავტორს, პროფესორ გოგი ბოჭორიშვილს მამის, ქართული ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, უბადლო დასტაქრისა და საზოგადო მოღვაწის

**გიორგი ბაგრატის ძე ბოჭორიშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ ღრმა მწუხარებას გამოხატავს ასოციაციის თამჯდომარის მაია კვეზერელიკოპაძის დედამთილის, ღვაწლმოსილი და სათნო ქალბატონის

**მიმოზა თელია-დევდარიანის**

გარდაცვალების გამო, თანაუგრძნობს განსვენებულის შვილებს ანდრო და მანანა დევდარიანებს, ახლობლებს და ნათესავებს.

---

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ჩვენი კარაბადინი

### ბგერების და სუნის ტალღაზე



დედობა ისე ძლიერ გავლენას ახდენს ქალის ორგანიზმზე, რომ ნაწილობრივ ცვლის კიდეც მისი ტვინის ზოგიერთ ფუნქციას, გამოარკვიეს ისრაელელმა მეცნიერებმა. ტვინის ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია მათ შორის სუნისა და ბგერების აღქმასთან, ეხმარებიან დედებს, იქონიონ ურთიერთობა თავიანთ პატარებთან და გამოიცნონ მათგან წამოსული სიგნალები დახმარების თხოვნის შესახებ.

იერუსალიმში ებრაელთა უნივერსიტეტის მეცნიერები აწარმოებდნენ ცდებს თაგვებზე და დაადგინეს, რომ დედა თაგვები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ პატარა თაგუნების სუნზე. კერძოდ, დედებს აღმოუჩნდნენ ხოლმე კავშირურთიერთობას ყნოსვით და სმენით ინფორმაციებს შორის. ასეთი თვისებები თაგვებს ყოველთვის როდი ჰქონდათ, ისინი მათ იძენდნენ მემკვიდრეების შობის შემდეგ.

### წვენის ულუფა

**პამიდვრის ყოველდღიური მიღება დაბლა სწევს ქოლესტერინს და სისხლის წნევას, მიაჩნიათ ავსტრალიელ მეცნიერებს ადელაიდის უნივერსიტეტიდან.** მათ დაადგინეს, რომ ტომატის წვენის ერთი ულუფა ხელს უწყობს სისხლის სიმკვრივის შემცირებას 70 პროცენტით. სპეციალისტები ამბობენ, რომ პამიდვრის მიღება საშუალებას გვაძლევს, შევამციროთ არა მხოლოდ თრომბოზების რისკი, არამედ ინსულტებისაც და მიოკარდიუმის ინფარქტებისაც. მეცნიერები გვირჩევენ, ყოველდღე დავლიოთ 500 მილილიტრი ტომატის წვენი.



### რატომ არ ბერდება ტვინი?

**მოვისმინე, რომ ამერიკაში გამოფინეს აინშტაინის ტვინის ჭრილი. იქ კი სიბერის არანაირი ნიშანი არ არის. როგორ შეიძლება ეს? ნუთუ ტვინი არ ბერდება სხეულთან ერთად?**

**გვიპასუხებს ადამიანის ტვინის ინსტიტუტის დირექტორი სვიატოსლავ მედვედევი:**

— მართლაც, წლების განმავლობაში ბერდება არა თავად ტვინი, არამედ სისხლძარღვები. ნეირონები კი შეიძლება დარჩნენ სავსებით ახალგაზრდა. ეს საკმარისად ხშირი მოვლენაა. მე თავად ვნახე იგი: დედაჩემის ნატალია ბეხტერევას (მსოფლიო სახელის ნეიროფიზიოლოგი იყო — **რედ.**) მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიით, ტვინი იყო როგორც ახალგაზრდა ქალისა, თუმცა გამოკვლევამდე მას ინსულტებიც კი ჰქონდა.



ბერდება თუ არა ტვინი სხეულთან ერთად? კიდეც „კი“ და კიდეც „არა“. ასაკთან ერთად, როგორც წესი, ირღვევა ტვინის სისხლის მიმოქცევა, უარესდება მისი უჯრედების კვება, შესაძლებელია ნეირო დეგენერატიული დაავადებანი — მოხუცებულობის ჭკუასუსტობა, ალცჰეიმერის დაავადებანი, პარკინსონი და ა.შ. მაგრამ ხანდაზმული ადამიანის ტვინს, ვისაც ეს ყოველივე არ აქვს, შეუძლია აიცილოს თავიდან დაბერება. პრობლემა სხვა რამეა: სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს შეუძლიათ იმუშაონ გენიალურად მხოლოდ ახალგაზრდობის პერიოდში. მაგალითად, მათემატიკოსებს, თეორეტიკოს-ფიზიკოსებს — 35-40 წლამდე. მედიკოსებისთვის, იურისტებისთვის, მწერლებისთვის ყველაფერი პირიქითაა. ეს დამოკიდებულია აზრის სიმახვილეზეც და ცხოვრებისეულ გამოცდილებაზეც.

### არა მხოლოდ ნერვებისგან

**ადრე ამბობდნენ, რომ კუჭის წყლული ცუდი კვებისგან ჩნდებაო, შემდეგ ყველაფერში სტრესს ადანაშაულებდნენ, ახლა კი ყველაფერი რომელიღაც ბაქტერიას გადააბრალეს. მაშ რისგან ჩნდება სინამდვილეში ეს დაავადება? რა სიმპტომით შეიძლება მისი შეცნობა?**

**მიხეილი, თერჯოლა**

**გვიპასუხებს ექიმი-გასტეროენტეროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გივი თარხნიშვილი:**

— სენის განვითარებაში „დამნაშავეები“ არიან არარეგულარული კვებაც და ცნობილი მავნე ჩვევებიც, სტრესიც. სენის პროვოცირება შეიძლება კარიესმაც კი გამოიწვიოს, დაავადებული კბილები ხომ — ინფექციის მუდმივი კერაა მთელი ორგანიზმისთვის. მაგრამ დაავადების მთავარი დამნაშავე მაინც ბაქტერია „ჰელიკობაქტერ პილორია“. სანამ ეს ბაქტერიები ორგანიზმში ცოტაა, ისინი სავსებით მშვიდობიანად გვეჩვენებიან და გვიცავენ კიდეც საკვებით მოწამვლისგან.



მაგრამ საკმარისია დაიწიოს იმუნიტეტმა, რომ ბაქტერიული არმია იწყებს ზრდას როგორც საფუარზე და კარდინალურად იცვლის ხასიათსაც. მიკრობების არმია სტიმულს აძლევს მარილმჟავას სეკრეციას, შემდეგ კი იწყებს დაშლილი კუჭის ქსოვილების ჭამას.

კუჭის წყლულის მთავარი ნიშანია ტკივილი ეპიგასტრალურ მიდამოში. მაგრამ ზოგჯერ ამ დაავადებას თან ახლავს ისეთი უწყინარი სიმპტომი, როგორიცაა ღამით გაღვიძებული უსაზღვრო მადა. ზუსტი დიაგნოსტიკისთვის საჭიროა ანალიზი. ბაქტერიების ოდენობის განსაზღვრა სხვადასხვა გზით შეიძლება: სასუნთქი ტესტის, დათესვის დახმარებით, აგრეთვე ენდოსკოპიური გამოკვლევის დროს. ბაქტერიების განთესვის დონის ხარისხის მიხედვით განსაზღვრავს ექიმი ანტიბაქტერიულ პრეპარატებსა და მათ დოზირებას.

### გამოკითხვა

**ექიმები როდისმე თუ გძალავდნენ ქრთამს?**

**28 პროცენტი — დიახ, იყო ასეთი შემთხვევა**

**27 პროცენტი — უფრო მიარაკებდნენ ხოლმე, რომ საჭიროა მადლობის გადახდა**

**23,5 პროცენტი — არა, ასეთი რამე არ მომისმენია**

**21,5 პროცენტი — მე არა, მაგრამ ჩემს ნაცნობებს კი**

**მთლიანად გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 1189 კაცმა.**

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ალექსანდრე პუშკინი არასოდეს იშორებდა ოქროს სამაჯურებს მწვანე იასპის თვლით, რომელსაც სპარსული წარწერები ამშვენებდა. პუშკინი მას სიყვარულის თილისმას ეძახდა. ბოლოს ის შეყვარებულს, კატენკა უშაკოვას აჩუქა. ეჭვიანმა ქმარმა კატენკას სამაჯური სულ ნამსხვრევებად უქცია.

● პეტრე I-ის დროს რუსეთში გაჩნდა სამაჯურები პორტრეტებით. პეტრე II-მ ჯვრისწერისას თავის საცოლეს, ეკატერინა დოლგორუკაიას, საქორწინო ბეჭდის ნაცვლად ოქროს სამაჯური გაუკეთა თავისი პორტრეტით და ისე შეჰფიცა ერთგულება. ალექსანდრე I-ის დროს პორტრეტიან სამაჯურებს მარცხენა ხელზე ატარებდნენ და მათ „სენტიმენტებს“ ეძახდნენ.

● „ჩინგიზი“ ზეცით მოვლენილს ნიშნავს. ჩინგიზ-ყაენი 51 წლის იყო, როდესაც 1206 წელს სრულიად მონღოლთა ყრილობა ყურულთაიზე გაერთიანებული მონღოლეთის მბრძანებლად აირჩიეს.

● გაიუს მარიუსი რომის იმპერიის კონსულად 7-ჯერ აირჩიეს.

● ჰერათის, ისკანდერუნს, ყანდაარს, მარის, ხოჯენტსა და ალექსანდრიას საერთო ის აქვთ, რომ ყველა მათგანი ალექსანდრე მაკედონელმა დააარსა.

● ერთხელ კომპოზიტორ ვილიბალდ გლუკმა სეირნობისას შემთხვევით ხელჯოხით მაღაზიის ვიტრინა ჩაამსხვრია. როცა მეპატრონემ უთხრა, ჩამსხვრეულ მინაში 1,5 ფრანკი უნდა გადამიხადოთო, გლუკმა 3 ფრანგი გაუწოდა. მეპატრონეს ხურდა არ აღმოაჩნდა და მაშინ კომპოზიტორმა მეპატრონეს მეორე ვიტრინის ჩამტვრევა შესთავაზა.

● სახელმწიფო სამსახურისათვის ჯამაგირი ძველმა ბერძენმა სახელმწიფო მოღვაწე პერიკლემ დააწესა.

● 1829 წელს ნიკოლაი გოგოლმა წიგნად გამოსცა თავისი პოემა „ჰანც კიუხელგარტენი“, რომელიც კრიტიკამ დაიწუნა და გულნატკენმა გოგოლმა თავისი წიგნის ყველა ნომერი შეისყიდა და დაწვა.

● ამერიკელმა მწერალმა მარკ ტვენმა ერთხელ ანონიმური წერილი მიიღო, რომელშიც ერთი სიტყვა — „ღორი“ ეწერა. ანონიმს მწერალმა პრესით გასცა პასუხი: „ანონიმურ წერილებს მე საერთოდ ხელმოწერის გარეშე ვღებულობ, მაგრამ გუშინ კი მხოლოდ ხელმოწერით მივიღე“.

● ჯავაჰარლალ ნერუმ თავის ქალიშვილს სახელად ინდირა — „მთვარის ქვეყანა“ დაარქვა.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

### განცხადება

ვიმუშავებ ძიძად სკოლის ასაკის ბავშვთან, შევასწავლი ინგლისურს და სხვა საგნებს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

მოვუვლი მოხუცებულს, შევასრულებ ექთნის მოვალეობას და საოჯახო საქმეს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

## კადრი



## ანეკდოტები

— ყმაწვილო, ხელს ნუ უფათურებთ ჩემს ქალიშვილს!
— მაგრამ ეს მას მოსწონს!
— მე კი არ მომწონს!
— მე თქვენ არც გიფათურებთ...

* * *

— ძვირფასო, რა თქვეს შენმა მშობლებმა, როდესაც დაქორწინების თაობაზე ჩვენი გადაწყვეტილება გაიგეს? — ეკითხება ბიჭი გოგოს.
— ძალიან ბუნდოვანი სიტუაციაა.
— ანუ?



— მამაჩემი ხმას არ იღებს, დედაჩემი კი ელოდება, თუ რას იტყვის იგი, რათა შემდეგ გადაჭრით შეეწინააღმდეგოს!

* * *

მამაკაცებს სურთ გარყვნილი ურთიერთობები ლამაზ ქალებთან, ქალებს კი პირიქით, — ლამაზი ურთიერთობები უნდათ გარყვნილ კაცებთან.

* * *

ორი ლოთი მესამეს ეძებს, რათა როგორმე „პახმელიიდან“ გამოვიდნენ.
დიდხანს ეძებენ, მაგრამ ვერ პოულობენ. მაშინ ერთი გამწარებული ამბობს:
— მორჩა, წავიდეთ, პირველი და მეორე მე ვიქნები!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24